# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 10 ოქტომბერი 2005 №232 (2555) ფასი 50 თეთრი




**სკიბე ფიოლერს აეკიდა**

ლევერკუზენის ახალი თავი

10



**საქართველომ ორი ოქრო აწია**

სამუკაშვილი და კასაბიევი ჩემპიონებად დაგვიბრუნდნენ

12




**ფინელის ფანტასტიკური**

რაიკონენის მონოფისი

14



# დამისხი, დამალევინე...
## ეგება წაღმა ვიფიქრო ბურთის უკუღმა ტრიალი





გუშინ „ნიკალაში": ალბათ, წარუმატებლობისგან განსამუხტად, ალბათ, მომავალი მატჩისთვის დასამუხტად ნოდარ ახალკაცმა და გაიოზ დარსაძემ ეროვნული ნაკრები ეროვნულ სუფრაზე იწვიეს

# მოვიდა სიტყვა, დახვდა ქვა
# ნეტავ, არიან მორწმუნენი?



თბილისი. 8 ოქტომბერი. 20 საათი. ეროვნული

## საქართველო 0:0 ყაზახეთი

*დემეტრაძემ ვერ გაიტანა პენალტი (6, მეკარე)*

| | |
|---|---|
| **საქართველო:** რევიშვილი, მუჯავანაძე, სალუქვაძე, ასათიანი, კალაძე, გაჩეჩილაძე, კანკავა, კობიაშვილი, მუჯირი, აშვეთია (ნინამძღვრიშვილი 86), დემეტრაძე<br>*სათადარიგონი:* სტურუა; მენთეშაშვილი, ხიდეშელი, გოგუა, კ. მახარაძე, კ. ჩხეტიანი<br>**მწვრთნელი:** გაიოზ დარსაძე | **ყაზახეთი:** ლორია, მუკანოვი, კუჩმა (ფამილცევი 52), სმაკოვი, ირისმეტოვი, ლარინი (ხოხლოვი 54), აზოვსკი, ტრავინი, ნიზოვცევი, ჟუმასკალიევი, კენჟეხანოვი (ლიტვინენკო 65)<br>*სათადარიგონი:* ნოვიკოვი; ბაიჟანოვი, ბალტიევი<br>**მწვრთნელი:** სერგეი ტიმოფეევი |

**გაფრთხილება:** ნიზოვცევი (16), ტრავინი (35), კობიაშვილი (51), ასათიანი (68), ირისმეტოვი (90)

**მსაჯები:** ი. პიიტია; ი. ლივანაინენი, ე. ვეშკილაინენი; ტ. ასუმაა (ყველა ფინეთი)

**უეფას ინსპექტორი:** ბ. ალექსანდროვი (ბულგარეთი);
**უეფას დელეგატი:** ტ. რესტოლი (მალტა)

**კობა ინასარიძე**

**კიდევ** კარგი, საქართველო — ყაზახეთი უმაყურებლოდ ჩატარდა, თორემ შაბათს „ეროვნულზე" ამბავი დატრიალდებოდა, მტრისას...

თქვენ წარმოიდგინეთ, ეროვნული გუნდის თამაშით ის „კინკილა" 150-მდე კაციც კი აღშფოთდა, რომლებიც ამ დახურულ მატჩს დაესწრნენ და მათგან ნახევარი მაინც სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენელი იყო. „აღშფოთდა" კიდევ რბილი სიტყვაა, ლოჟაში შეკრებილმა ქართველობამ ნამატჩევს სიტყვიერად ნამეტანი შეურაცხჰყო ნაკრების თავკაცი გაიოზ დარსაძე, უწმაწურობის კორიანტელი დააყენა მისი და ფედერაციის მისამართით და, აბა, წუთით დაფიქრდით, ტრიბუნაზე ათასობით კაცი რომ ყოფილიყო იქ რა ამბავი იქნებოდა.

ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი მართლაც ჭკვიანი ყოფილა, რომ ალმასკომს გაიოზ დარსაძის მწვრთნელად დანიშვნა სწორედ ყაზახეთთან მატჩის წინა დღეს მოსთხოვა და თავისი გაიტანა — ახალკაცმა სირცხვილს დაასწრო, დარსაძე მთელი ორი წლით დაიბევა და გუშინ დანიშნულს დღეს, აბა, როგორ მოხსნის.

...დარსაძის ნაკრების პროგრესს საქართველო შაბათსვე, ყაზახეთთან მატჩისას დაინახავსო, თქვა ახალკაცმა პარასკევს, მწვრთნელის დანიშვნიდან რამდენიმე წუთში. ვაი რომ, ასეთმა ილუზიებმა დააქცია ეს ქვეყანა და ასეთი ილუზიებით მუშაობს დღევანდელი ფედერაციაც.

ნამატჩევ შეურაცხყოფებს შევეშვათ, თუმცა ქომაგის დამოკიდებულება ქართული ფეხბურთის თავკაცობისადმი აქედანაც კარგად ჩანს. ფედერაციის ჩინოსნებმა და ნაკრების თავკაცმა ხალხის აზრი იკითხონ, იკითხონ ისიც, რა პროგრესი დაინახეს ყაზახეთთან შეხვედრისას და... რომელ პროგრესზეა ლაპარაკი, როცა ნაკრებში დღითიდღე იზრდება დისიდენტთა რაოდენობა და შეიძლება ხვალ-ზეგ დარსაძესა და ახალკაცს მხოლოდ მათი დაწინაურებული 17-18 წლის ბიჭები შერჩეთ. რომელ ნაკრებზე, რომელ თამაშზე შეიძლება ლაპარაკი, როცა, საყოველთაო აზრით, თბილისში ყაზახეთზე სუსტი ნაკრები ჯერ არ ჩამოსულა და ასეთ გუნდთან დარსაძის მიერ დამოძღვრილ ფეხბურთელებს ჩალის ფასიც კი არაფერი უკეთებიათ.

თუმც, ბოდიში, საყოველთაო აზრი ახლა ვის აინტერესებს. მთავარია, რომ ფედერაციას პრეზიდენტი ჰყავს, ამ პრეზიდენტს კი მწვრთნელი, რომლისაც სჯერა და უნდა, რომ ჩვენც დავიჯეროთ.

კმარა გაუთავებელი წუწუნი უფულობაზე. თუ არ გაქვთ ფული, კეთილი ინებეთ, იშოვნეთ და მართლაც მაღალი დონის მწვრთნელი მოიყვანეთ, თუ არა და, ისეც შეიძლება მოხდეს, ხალხში გამოსაჩენი პირი არ გქონდეთ და უმაყურებლო თამაშები სანატრელი გაგიხდეთ! ქართული ფეხბურთის მმართველობა თავად ინებეთ და საქმის ხეირიანად კეთებაც უნდა ინებოთ.

კმარა 17-18 წლის უწვერული, ფსიქიკაჩამოუყალიბებელი ბიჭების სანაკრებო ღრუბლებში ატყორცნა, ეს სათუთი საქმეა და ერთი-ორ წელიწადში მათ ფეხბურთს ნუ დაამთავრებინებთ.

ერთი მხრივ, დაპირებები და მეორე მხრივ, მწარე რეალობა დემაგოგია გამოდის და ეს დიდხანს არავის შერჩენია!

...გაიოზ დარსაძემ გუშინ ყაზახეთის უსუსურ ნაკრებს ზუსტად ის შემადგენლობა დაუპირისპირა, რომელიც წინა დღეს საგანგებოდ ავარჯიშა. ჩვენ კი, იმის შიშით, ეს ძირითადი შემადგენლობა სტუმართა თავკაცმა მატჩამდე არ შეიტყოსო, აღარ გამოვაქვეყნეთ, თორემ მერე გენახათ ბრალდებები, დანიის თავკაც მორტენ ოლსენისა არ იყოს, სერგეი ტიმოფეევთანაც თქვენ, ჟურნალისტებმა დაგვაბეზღეთო. თუმც ეს არაფერი, ყაზახეთის ნაკრებთან შემადგენლობის სწორ შერჩევაზე ლაპარაკიც არ ღირს. მთავარი ისაა, კონკრეტულ ფეხბურთელს მწვრთნელი რას დაავალებს. არ ვიცით, დარსაძემ შეგირდებს რა უთხრა, მაგრამ ფაქტია, რომ მისმა სიტყვებმა წარმატება არ მოიტანა, ანუ სათქმელიც არასწორად თქმულა.

საქართველოს ნაკრები უილბლობაზეც ვერ დაიჩივლებს, რადგან მეტოქის მეკარის უხეში შეცდომის გამო დანიშნული პენალტის გარდა, დარსაძის შეგირდებს ისეთი არაფერი გაუკეთებიათ, ვთქვათ, ღმერთი გაუწყრათო. მომენტები იყო, როგორ არა, მაგრამ თამაშის ხარისხს, მით უმეტეს, ყაზახეთის ნაკრების ფონზე, ნულს ქვემოთ თუ შევაფასებთ. ესეც თქვენი, ახალკაცისეული პროგრესი და დარსაძის მშენებარე ნაკრები.

საქართველოში რამდენ გუნდს, რამდენ გრანდს უთამაშია და რამდენი ტოპ-კლასის მწვრთნელი ჩამოსულა, მაგრამ ისეთი სიმართლე, სერგეი ტიმოფეევმა ნამატჩევს რომ თქვა, არავისგან გვახსოვს. კერძოდ: „საქართველოს ნაკრებს ჰყავს ძალიან ძლიერი ფეხბურთელები, მაგრამ ისინი ერთად ანარქისტები არიან. მატჩის ბოლოს ეს აშკარა იყო, გუნდი დაიშალა და ჩვენ რომ გაგვმართლებოდა, გოლსაც გავიტანდით. საქართველოს ნაკრებში სათამაშო დისციპლინა არ არსებობს. ყაზახეთის ნაკრები ქულას ადრეც იმსახურებდა, მაგრამ ფატალურად არ გვიმართლებდა".

ეს ვიკითხოთ, ყველა მეტოქემ საქართველოში რატომ უნდა გაიხაროს, გინდ, უსუსური ყაზახეთი იყოს, გინდ, სხვა... თუმც მომავალში იქნებ უარესიც ვნახოთ და ამიტომაც აქ შევჩერდეთ...

წინ კი, ზეგ, საბერძნეთია. რა იქნება ათენში, ვერ გეტყვით, თუმც სახეიროს ვერაფერს ველით. ალბათ ისევ შეიცვლება შემადგენლობა და კიდევ ერთი-ორი ჯერაც ბიჭუნა დაწინაურდება, მით უმეტეს, რომ ბერძნებთან ვერ ითამაშებს ორი ყვითელი ბარათის გამო დისკვალიფიცირებული მალხაზ ასათიანი და, სავარაუდოდ, ვერც ახალდაქორწინებული ზურაბ ხიზანიშვილი.

გაიოზ დარსაძემ პრესკონფერენციაზე დაახლოებით ნახევარი საათი დაგვიანა. ის, რამდენიმე წინამორბედისგან განსხვავებით, კითხვებზე საპასუხოდ მზად კი იყო, მაგრამ ზედ კარის ზღურბლზე ნოდარ ახალკაცმა შეაჩერა და ბიჭებთან გასახდელში შებრუნება სთხოვა. გასახდელში რა ითქვა, ზუსტად ვერ გეტყვით, თუმც გავიგეთ, პრეზიდენტს გუნდისთვის ნაირნაირი კომპლიმენტები უთქვამს და სამომავლოდ დაუიმედებია.

ჩვენ კი იმედი აღარ გვაქვს, თქვენ?






გიო ახვლედიანის
სვეტი

## შაბათს, დიახ

სიმართლე რომ ვთქვა, არ მინდა ამ საქმეზე წერა.

სტადიონზე არ ვყოფილვარ, მეორე ტაიმი არ მინახავს და საერთოდ, როცა არ გინახავს, არ უნდა დაწერო.

მეორე ტაიმი საპატიო მიზეზის გამო არ მინახავს. მეგობარმა დამირეკა ძალიან შორიდან. გაზაფხულის შემდეგ არ გამიგონია მისი კეთილი ხმა და ტელეფონიანად მეორე ოთახში გავედი. რომ დავბრუნდი, თამაში დამთავრებული იყო, დიდხანს გვილაპარაკია.

„ლაივსკორს“ ვეცი და, რაც დავტოვე, ის დამხვდა.

მერე რომ ვფიქრობდი, მეორე ოთახში გასვლა ეგებ არც იყო საჭირო, თან ფეხბურთს შევხედავდი და თან ილაპარაკებდი. სწორედ ამასწინათ მითხრა ერთმა ამხანაგმა, ამ ბოლო დროს ჩაწეულზე ყურება დავამულამე, ტელეფონზეც კი ვლაპარაკობო.

მე თუ მკითხავთ, ჩაწეულზე ყურება ძნელია. ბოლო ორი თამაში საქართველომ ისედაც ჩაწეულზე ჩაატარა: ხალხის დასწრება ხომ ისედაც არ შეიძლებოდა. უხალხოდ თამაში ისედაც ჭირს, მერე კიდევ, ტელევიზორში ყურება საერთოდაც გულის მომკვლელია.

შეიძლებოდა ხუმრობა. ვთქვათ, ამ ტიპის: საქართველო დაფრინავს, საქართველო არ დადის.

არ ღირს. დედას ვფიცავარ, თუ ღირდეს, საერთოდაც ულამაზოა.

სახუმარო საერთოდ არაფერია. ფეხბურთი შაბათ ღამით: სიჩუმეში, სიცივეში, ქარში, სიცარიელეში, სტადიონზე, სადაც მეთხუთმეტე წელიწადია, სკამები ვერ დაიდგა... თამაშობს გუნდი, რომელიც კარგა ხანია, ყოველ შემოდგომაზე ტყუილად თამაშობს, რომელსაც ყოველ სეზონში ახლებური სამოსი აცვია და, რომელსაც ამ თხუთმეტი წლის მანძილზე ვერ უპოვნია თავისი ფერი და იერი პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, რომელშიც პერიოდულად ვილაცები იბუტებიან და ვილაცებს ებუტებიან, თუმცა საბოლოოდ არაფერი იცვლება.

საჭიროა კრიტიკა, ირონია, რავიცი, ათასი რამე. საჭიროა, ბოლოს და ბოლოს, ამ გუნდის ყურება, თუმცა საბოლოო ჯამში, მგონი, არ არის საჭირო. იმიტომ, რომ ეს ყველაფერი მაშინ იქნება საჭირო და გამოსადეგი, როცა ფერები გვექნება. ფერები, დიახ: ყველა ნაკრებს აქვს თავისი ფერი.

სხვანაირად არაფერიც არ არსებობს.

თორემ ყაზახთა მეკარე ლორიამ კი აჩვენა ჩვენი ძველებური ხასიათი: იქ წაზდა, აქ კი აილო, ორი, თან როგორი...

# საქართველო 1970 წლის საფრანგეთია

## მარტო ფიზმომზადება გვაკლია?

„ჟაკ დევიმით ნაკრების ყველა ფეხბურთელი კმაყოფილია. ფრანგი მწვრთნელი არამარტო ეროვნულში გვჭირდება, ყველა ასაკის ნაკრებებში უნდა გამოვასწოროთ ვითარება. ბატონი ჟაკი ქართულ კლუბებშიც უნდა ჩავრთოთ, რათა ფიზმომზადების დონემ აიწიოს“ — ამ სიტყვებით დაიწყო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა პრესკონფერენცია, რომელსაც , ცხადია, ჟაკ დევიმიც ესწრებოდა.

შეგახსენებთ, ეს ფრანგი სპეციალისტი ეროვნულ ნაკრებში გაიოზ დარსაძის თანაშემწე იქნება და უშუალოდ ფიზმომზადებაზე იმუშავებს.

ახლა კი ფრანგის, ცოტა არ იყოს, უცნაური პასუხები ქართველების კითხვებზე...



ბადრი კოდუაშვილის ფოტო

**— რა სამუშაოს შეასრულებს დევიმი კონკრეტულად ეროვნულ ნაკრებში?**

*ახალკაცი:* ბატონი ჟაკი გადაწყვეტს, რა დატვირთვა უნდა მისცეს ამა თუ იმ ნაკრებს თუ გუნდს, ანუ ფიზმომზადებას გააკონტროლებს. მისი მეშვეობით მაქსიმალურად მოკლე დროში უნდა მოხერხდეს ქართველ მწვრთნელთა პროგრესიც. აქვე ვიტყვი, რომ ფიზმომზადების მწვრთნელი ავთო ბერიძე ეროვნულ ნაკრებში მუშაობას გააგრძელებს.

*დევიმი:* პირველი შთაბეჭდილება ყაზახეთთან მატჩმა შემიქმნა. ეს თამაში უნდა მოგვეგო, რადგან სტუმრები მხოლოდ დაცვაზე ზრუნავდნენ და კონტრშეტევების იმედად იყვნენ. და მაინც, საქართველოს ნაკრებმა დასახულ ამოცანას კარგად გაართვა თავი. 2:0 ან 3:0 რომ მოგვეგო, მგონი, ვერავინ იტყოდა, არ ვიმსახურებდითო.

**— რამ მიგიზიდათ საქართველოს ნაკრებში?**

*დევიმი:* საქართველოში ადრეც ვყოფილვარ, მწვრთნელებს ვამზადებდი. კარგად ვიცნობდი აქაურ ტექნიკურ ცენტრს, კარგად ვიცნობდი გაიოზ დარსაძესაც. ეროვნულის გარდა 19-წლამდელთა ნაკრებსაც მოვამზადებ მომავალი შესარჩევი ციკლისთვის.

**— რამდენად გამართლებულად მიაჩნია ჟაკ დევიმს ახალგაზრდა ფეხბურთელების ეროვნულ ნაკრებში დაწინაურება?**

*დევიმი:* ახალგაზრდები აკეთებენ იმას, რაც შეუძლიათ. ყაზახეთთან მათ მწვრთნელის დავალება მაქსიმალურად შეასრულეს. 1970 წელს საფრანგეთი ევროპაში მე-14 ადგილზე იყო ფიზმომზადებაში, იმ დროს ფედერაციის ტექნიკურმა დირექტორმა ჟორჟ ბულონმა ამ კომპონენტში წინსვლა დამავალა. მე იტალიაში, გერმანიასა და სხვა ქვეყნებში ვიმოგზაურე, გავეცანი მათ მუშაობას და 1974 წლიდან დავიწყეთ ფიზმომზადებაზე აქტიური მუშაობა. ათ წელიწადში ევროპის ჩემპიონები გავხდით. სახლის ასაშენებლად საფუძველია საჭირო, მერე კი აგურს აგურზე ვადებთ. თქვენ გგონიათ, საფრანგეთის ნაკრებში არ ხდება ახალგაზრდების სწრაფად დაწინაურება?! აი, ჩემპიონთა ლიგაში მოთამაშე „ლილს“ ორი 18 წლის და ორიც 20 წლის ფეხბურთელი თითქმის მუდმივად ძირითადში ჰყავს. ასეა „მარსელშიც“, არადა, ამ კლუბს საკმარისი ფული აქვს ძლიერი მოთამაშეების შესაძენად.

**— ტექნიკური ცენტრი ახსენეთ. როგორი უნდა იყოს იგი და სად გეგულებათ ასეთი?**

*დევიმი:* პირველ რიგში მინდვრის ხარისხი უნდა გაუმჯობესდეს, ხოლო ტრენაჟორები, სამედიცინო ცენტრი და აუზი თუ გვაქვს, მაშინ სწორედ მინდვრის პრობლემაღა რჩება. ასევე საჭიროა მყუდრო საცხოვრებელი ადგილი, სწორი კვება...

*ახალკაცი:* უფრო რეალურია, რომ ეს ტექნიკური ცენტრი ნაკრების ბაზაზე იყოს.

**— ფრანგული ფეხბურთის განვითარების გზაზე იქნებ უფრო კონკრეტულად გვითხრათ...**

*დევიმი:* როცა გავიგეთ, რომ ევროპაში მე-14 ადგილზე ვიყავით ფიზმომზადებაში, არა მარტო ეროვნულ და სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებებში, არამედ კლუბებშიაც დავიწყეთ მუშაობა. 1974 წელს გავაკეთეთ ბრწყინვალე ტექნიკური ცენტრი.

**— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ქართული ფეხბურთი ფიზმომზადებაში განსაკუთრებით მოიკოჭლებს და შესაძლოა, მუშაობა გაგიჭირდეთ...**

*დევიმი:* ორი დადებითი მომენტი უკვე დავინახე: ესაა ტექნიკა და ტაქტიკა. ქართველებს ამ კომპონენტებში პრობლემა თითქმის არა აქვთ, მათ მოედნის ხედვა და პასები არ დაეწუნებათ, ბურთთანაც ახლოს არიან, თუმცა უბურთოდ თამაში უკეთესის სურვილს ბადებს. და მაინც, ტექნიკა-ტაქტიკას ფიზმომზადებაც სჭირდება. ერთ მატჩში ფეხბურთელმა საშუალოდ 14-16 კილომეტრი უნდა დაფაროს და ზოგჯერ ეს სწრაფად უნდა გააკეთოს, მაქსიმალური სიჩქარე უნდა აკრიფოს. ფეხბურთი მარათონი არაა, მშვიდად სირბილის საშუალებას რომ იძლეოდეს. თუ ფეხბურთელი პატარა ასაკიდან არ მიეჩვევა დატვირთვებს, მერე და მერე გაუძნელდება.

**ილია ნანობაშვილი**

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I შესარჩევი ჯგუფი
## ჩვენი მეტოქეები

# დნიპრული ამბავი ბოგდან-როტანზე

**უკრაინა 2:2 ალბანეთი**

**1:0 შევჩენკო (45), 1:1, 1:2 ბოგდანი (75, 82), 2:2 როტანი (86)**
**უკრაინა: შოვკოვსკი, ფიოდოროვი, ტიმოშჩუკი, შელაევი, რუსოლი, შევჩენკო (ბელიკი 58), როტანი, გუსევი, ვორონინი, ნაზარენკო (ვორობეი 72), შევჩუკი**
**მწვრთნელი: ოლეგ ბლოხინი**
**ალბანეთი: ლიკა, ბეჩირი, დალკუ, კანა, ჰასი, ილიაი, შკელა, ლალა, ტარე (კაპლანი 71), ბოგდანი, ჰაჯი**
**მწვრთნელი: ჰანს-პეტერ ბრიგელი**

**დნიპროპეტროვსკში** დიდი აჟიოტაჟი იყო მიუხედავად იმისა, რომ სატურნირო მდგომარეობით გუნდები უმოტივაციოდ იყვნენ — ქომაგმა ოთხი გოლი იხილა, თუმც, რომ არა რუსლან როტანი, ალბანელები უკრაინიდან სამ ქულას წაიღებდნენ.

პირველი ტაიმის მიწურულს ანდრეი შევჩენკომ ელიონ ლიკას თავურით ახლო კუთხეში გაუტანა, მანამდე კი ყველაზე მეტად ანატოლი ტიმოშჩუკი ემუქრებოდა ალბანელთა მეკარეს.

შესვენების შემდეგაც ბურთს უფრო მეტ ხანს უკრაინელები აკონტროლებდნენ, მაგრამ სტუმრებმა ნელნელა გამოასწორეს თამაში და იტალიური „სიენას“ შემტევმაც გაილა — ერიონ ბოგდანიმ ალექსანდრ შოვკოვსკისა და უკრაინელთა ჩაძინებულ დაცვას ორჯერ აჯობა.

ოლეგ ბლოხინის გუნდი მარცხისგან კიევის „დინამოს“ შუახაზელმა იხსნა — როტანმა დაახლოებით 30 მეტრიდან გაუტანა ლიკას.

იშტაზე მოსულ უკრაინას მოგებაც შეეძლო, მაგრამ მეორე ცდაზე როტანმა ლიკას ვეღარ აჯობა.

**ნიკა ჯორჯაძე**

# ტურის მთავარი — გრავგაარდის თავი

**დანია 1:0 საბერძნეთი**

**1:0 გრავგაარდი (39)**
**დანია: სორენსენი, პოულსენი, გრავგაარდი, ნილსენი, ნ. იენსენი, პრისკე, გრავესენი, კ. იენსენი (ლარსენი 85), იორგენსენი, რომედალი (გრონკიაერი 71), ტომასონი**
**მწვრთნელი: მორტენ ოლსენი**
**საბერძნეთი: ნიკოპოლიდისი, სეიტარიდისი, ბასინასი (სალპინგიდისი 46), ზაგორაკისი, იანაკოპულოსი, ვრიზასი (გეკასი 76), კაპსისი, კარაგუნისი, კაცურანისი, კირიაკოსი, ლიბეროპულოსი (კაფესი 61)**
**მწვრთნელი: ოტო რეჰაგელი**

**ჩვენი** ჯგუფის ბოლოსწინა ტურში ეს მთავარი მატჩი იყო — დანიელებს რომ ვერ მოეგოთ, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსს კარგავდნენ, მაგრამ მიქაელ გრავგაარდის თავურმა მორტენ ოლსენის გუნდს იმედი ჩაუსახა და ჯგუფში მეორეადგილოსნის საკითხიც ჩაიხლართა — ყველაფერს 12 ოქტომბრის მატჩები გადაწყვეტს.

ცხრილიდან და კალენდრიდან კარგად ჩანს, რომ ევროპის ჩემპიონ საბერძნეთს ძალიან შეუმცირდა მუნდიალზე მოხვედრის შანსი — ოტო რეჰაგელის გაწვრთნილ ბერძნებს ბოლო შეხვედრებში გატანა ძალიან უჭირთ და ასე იყო კოპენჰაგენშიც.

თუმც პირველი სახიფათო მომენტი სტუმრებმა შექმნეს — დანიელები ხელოვნურ თამაშგარეში მომწყვდევას უპირებდნენ მეტოქეს, მაგრამ ოთხი ბერძენი მასპინძელთა მეკარის ტომას სორენსენის პირისპირ აღმოჩნდა -— სორენსენმა იხსნა დანია და ამის შემდეგ უპირატესობასაც მასპინძლები დაეუფლნენ.

დენის რომედალს შეეძლო გატანა, მაგრამ ჩინებულად ითამაშა ბერძენთა გოლკიპერმა ანტონის ნიკოპოლიდისმა, თუმც აქედან ექვს წუთში მან უკვე ვეღარაფრით უშველა საბერძნეთს — ტომას გრავესენის ჩაწოდებული კუთხური და გრავგაარდის საგოლე თავური.

რეჰაგელმა პირველივე წუთებიდან შემტევი ტაქტიკა კი აირჩია (ოლსენის მსგავსი 4-3-3), მაგრამ გოლის შემდეგ დანიელები დაცვაში კარგად გამაგრდნენ.

ბერძნებმა რამდენიმე მწვავე შეტევა განახორციელეს, საუკეთესო შანსი პანტელის კაფესს ჰქონდა — ცაციით ოდნავ ააცილა მიზანს. თუმც ეს დიდი არაფერი იყო დანიელთა კონტრშეტევებთან შედარებით — მარტინ იორგენსენს, სორენ ლარსენს და კრისტიან პოულსენს უპირატესობის გაზრდა ნაღდად შეეძლოთ.

**ნიკა ჯორჯაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 12 | 7 | 4 | 1 | 18:7 | 25 |
| თურქეთი | 11 | 5 | 5 | 1 | 22:9 | 20 |
| დანია | 11 | 5 | 4 | 2 | 22:11 | 19 |
| საბერძნეთი | 11 | 5 | 3 | 3 | 14:9 | 18 |
| ალბანეთი | 11 | 4 | 1 | 6 | 11:19 | 13 |
| საქართველო | 11 | 2 | 4 | 5 | 14:24 | 10 |
| ყაზახეთი | 11 | 0 | 1 | 10 | 5:27 | 1 |

geo_geo_fan@

# გამოჩნდა ბევრი ზადი, სანამ დროა, ნადით!

საქართველოს ნაკრებმა ყაზახეთს ვერ მოუგო, იქამდე კი დანიასთან განადგურდა. რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ, რომ იქ დანიას უსიკვდილოდ სჭირდებოდა ქულები, აქ კი პენალტი რომ გაგვეტანა... შედეგი ტაბლოზეა, გულშემატკივრის განწყობას კი ქვემოთ ვნახავთ...

ამ დღეებში ზანგოსგან მესამე წერილს ვიღებთ. ეს კარგია, ცუდი კი ის გახლავთ, ავტორს ვარაუდმა რომ გაუმართლა — საქართველოს ნაკრებებმა ძალიან ცუდად ითამაშეს.

**ZANGO89**: *მწვრთნელი, რომელიც ყაზახეთთან წააგებს და არ გადადგება, უნამუსო და უსირცხვილოა!!!*

*იმედია, ახლა მაინც მიხვდება ფედერაცია და კობა, რომ მარტო ზესტაფონელები არ თამაშობენ... რატომ არ გამოიძახეს კახელიშვილი, ალავერდაშვილი ან დვალი?*

*ნადი, კობა!!! ნადი, კობა!!! ნადი, კობა!!!*

*სანდრო იაშვილი ყველაზე მაგარია!!!*

*საქართველოს ნაკრების მოთამაშეების შეფასებები:*

*რევიშვილი 2.0 საერთოდ არაფერი გაუკეთებია!*

*მჟავანაძე — 1.5 გონზე არ არის!*

*სალუქვაძე — 4.0 ბოლოს რაღაცას ცდილობდა!*

*ასათიანი — 5.0 ერთი-ორჯერ სოლო ჩაატარა!*

*კალაძე — 3.5 რა მომენტი გამაზა!*

*კანკავა — 0.0 საერთოდ არ მინახავს!*

*განუგრავა — 0.0 ბევრჯერ შეცდა!*

*კობიაშვილი — 0.0 „შალკეში“ ასე რომ ეთამაშა, გააგდებდნენ!*

*მუჯირი — 3.5 ცოტას მაინც ცდილობდა!*

*აშვეთია — 0.5 თამაშში დავიწყებია!*

*დემეტრაძე — 6.5 კარგი იყო, თუმცა პენალტი რომ გამაზა, იმან გააფუჭა ყველაფერი!*

*დარსაძე — მინუს 100!*

ავტორისეულ შეფასებებს გნებავთ, დაეთანხმეთ, გნებავთ, არა. იმაზეც შეგიძლიათ ბჭობა, ვინ არის ყველაზე მაგარი. საერთოდაც, მწვრთნელის გადასაწყვეტია, ვის ათამაშებს და ვის არა. მაგრამ შედეგზე რომ მწვრთნელია პასუხიმგებელი, ესეც ფაქტია. ერთი რამ კი დარწმუნებით შემიძლია მოგახსენოთ: არც ბატონი კობა და არც ბატონი გაიოზი არსად წამსვლელები არ არიან! ამაში ეჭვი არ მეპარება. თქვენ?

**SIBELES**: *გამარჯობა „სარბიელს“ და არა მარტო „სარბიელს“. გუშინდელ თამაშზე არაფერს მოგწერთ, სიტყვებს, რომლებიც თავში მომდის, ნამდვილად ვერ ვაკადრებ თქვენს პატივცემულ გაზეთს და, ალბათ, არც თქვენ დაწერთ.*

*მოკლედ, მოგვატყუეს!.. კარგად მახსოვს, რომ ამბობდნენ — ბატონი დარსაძე დროებითიაო და უცხოელ კანდიდატებს უკვე განვიხილავთო, მაგრამ... მოგვატყუეს. სულ ახლო წარსულს გადავხედოთ: რომელი ნაკრები — რომელსაც თუნდაც, სულ მცირე, ჯგუფში პირველ თუ არა, მეორე ადგილზე გასვლის პრეტენზია მაინც აქვს — აგებს 1:6-ს? რამდენიმე მაგალითის მოყვანაც კმარა (კარგი სიტყვაა „კმარა“ ამ შემთხვევაში) წლევანდელი შესარჩევი თამაშებიდან: ლიტვა — ესპანეთი 0:0, ლიხტენშტაინი — პორტუგალია 2:2, ჩრდილოეთ ირლანდია — ინგლისი 1:0, სლოვენია — იტალია 1:0... ჩვენში კი დანიასთან 1:6 და ყაზახეთთან, ვიმეორებ, ყაზახეთთან, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ყაზახეთთან 0:0 მომავლის შენების საფუძვლად ითვლება, მომავალი კი ბოლნისში გამოჩნდა.*

*როდის იყო, საქართველოს თამაში შემოუბრუნებიაო — ესეც დაგვამადლეს. რომ შემოაბრუნა, ეგ ერთი ამბავია და, ყაზახეთთან (აღარ გავიმეორებ) რომ შემოსაბრუნებლად გაგვიხდა საქმე, ეგ მეორე. ფული რომ არ გვაქვს, ვთქვათ, გასაგებია და, თუ მაინცდამაინც ქართველი უნდა დაგვენიშნა... მოკლედ, მე მაინც ვერ გავიგე, რა აქვთ რევაზ ძოძუაშვილის საწინააღმდეგო. ბატონმა ნოდარმა, მას უკვე ჰქონდა შანსიო, არადა, ხომ ყველამ კარგად იცის, ვინ იყო იმ ნაკრებში მთავარი მწვრთნელი? ისიც ხომ კარგად იციან, რომ, პირდაპირ გეტყვით, დარსაძე ძოძუაშვილთან ახლოსაც ვერ მივა ვერც ცოდნით, ვერც გამოცდილებით და, თუ გნებავთ, ვერც შედეგებით. ჩემი აზრით, ბატონ რეზოს შეუძლია ნაკრები მოამზადოს იმ დონემდე, რომ როცა უცხოელის ფული გვექნება, მას რაღაც დაახვედროს და ყველაფრის თავიდან სწავლა არ დასჭირდეს.*

*შაბათს ხორვატ სტუდენტებზე წავიკითხე, სისხლის გალების ფასად რომ ნაკრების ბილეთს მოიპოვებდნენ. ათას უბედურებაგამოვლილმა და ჯერ კიდევ ვერგამოვლილმა ხორვატიამ მოახერხა, შეექმნა ნაკრები, რომლისთვისაც სისხლის გაღებაც არავის ენანება.*

*ბოლოს ბატონ ნოდარსაც მინდა, ორი სიტყვით მივმართო: ბატონო ნოდარ, რატომღაც ისეთი გულმოსული ტონით გვესაუბრებით ჩვენ, გულშემატკივრებს და ჟურნალისტებსაც, თითქოს რამე დაგიშავეთ ან ჩვენ დაგაძალეთ დარსაძის დანიშვნა. მაპატიეთ, მაგრამ თქვენი საუბრიდან გამომდინარე, მგონია, რომ რაღაც ისეთი იცით და ხედავთ, რაც ჩვენ არ ვიცით და ვერ ვხედავთ, ან კიდევ, უბრალოდ, დაგვცინით. ისე კი, თქვენი მართლა დიდი იმედი გვქონდა, მგონი, გვეშველაო — ბევრი ამბობდა, მაგრამ...*

*რაღაც არეული წერილი გამომივიდა, მაგრამ დალაგებულად დალაგებული ნაკრებების და გუნდების შესახებ შემიძლია დავწერო, ოღონდ, ის სხვისი გუნდი და სხვისი ნაკრებია, ჩვენ კი ჩვენი გვინდოდა გვყოლოდა. კიდევ ძალიან ბევრის თქმა და დაწერა შეიძლება და ყველაფრის დეტალურად გარჩევა, მაგრამ მგონი, აღარ ღირს, ძალიან დავიღალე. ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ ეს ჩვენი ლაპარაკიც, როგორც ბევრი ასეთი, ფუჭად ჩაივლის.*

*ძალიან ბევრი სამი წერტილი და „მაგრამ“ დამიგროვდა, ამიტომ სჯობია დაგემშვიდობოთ. ქართულ ფეხბურთზე მწერალ ჟურნალისტებს კი გამძლეობა და ჯანმრთელობა მინდა ვისურვოთ.*

*პატივისცემით, თქვენი სტაჟიანი მკითხველი.*

დიდი მადლობა სტაჟიან მკითხველს — წერილი სულაც არ იყო არეული და აბდაუბდა. განსაკუთრებული მადლობა კი ლიხტენშტაინის, ჩრდ. ირლანდიის და სხვათა სამაგალითო ანგარიშების გახსენებისთვის. მაგრამ რომ დაუფიქრდები, რად გინდა... აგერ ჩვენ და აგერ ფეხბურთში ჭიპმოჭრილი სპეციალისტები — რამდენჯერ უთქვამთ და კიდევ რამდენჯერ იტყვიან, საქართველომ ამა და ამ დიდ გუნდს ტოლ-სწორად, აბა, როგორ უნდა ეთამაშოსო. ანდა, რამდენჯერ უთქვამთ და კიდევ რამდენჯერ გვეტყვიან, პირველი გოლის ფაქტორიო და ყაზახეთთან იქ შემობრუნებულ თამაშსაც დაგვამადლიან.

რაც შეეხება ბატონ ძოძუაშვილს, ვაი, რომ მასზეც მოგვიკრავს ყური, კომერციულ შემადგენლობას აყენებდაო...

**KAKICH**: *ახალკაცის და დარსაძის ალმასკომმა ქართული ფეხბურთი დაასაფლავა!!!*

*და კიდევ, ძალიან არ მომწონს დიმა რამიშვილი, რაღაც არ ეტყობა მას, რომ ქართულ ფეხბურთზე გული შესტკივა!!!*

*ხალხნო, მზად იყავით კატასტროფისთვის!*

*ყოველგვარი ირონიის და დაცინვის გარეშე ვიტყვი, რომ დარსაძის და განსაკუთრებით ახალკაცის ხელში საქართველოს ნაკრებს არანაირი პერსპექტივა არა აქვს! ყაზახეთი კარგი გუნდი რომ იყოს, ასეთ ნაკრებს ბარე ორ გოლს გაუტანდა.*

*ნეტავ, რამდენს იხდიან ეს ახალგაზრდები, რომ ნაკრებში მოხვდნენ?! ნუთუ, მათ ყველას პრემიერლიგის გუნდები ეპატიჟებიან, სადაც ნაკრებში ჩატარებული მატჩები ფასობს?!*

*რად უნდა ნაკრებს ფიზმომზადების მწვრთნელი, როცა გუნდი ისედაც სამი-ოთხი დღით იკრიბება. რა უნდა ასწავლოს ჟაკ დევიმმა მათ ისეთი, რომ დაგლიჯონ მოედანზე?!*

*განუგრავას ბავშვურ სახეს მიაქციეთ ყურადღება!*

*დარსაძეს უყვარდა ბავშვები, ბავშვებს უყვარდათ დარსაძე!*

*ერთი ეს ძველი გამონათქვამი გამახსენდა გუშინდელი მატჩის შემდეგ.*

*მგონი, მადრიდის „რეალი“ მცოდნე მწვრთნელს ეძებს და მოდით, ხალხნო, არ დავუმალოთ დარსაძე მადრიდის „რეალს“!*

*P.S. მზად იყავით ბერძნული კომმარისთვის, სადაც კვლავ გამოჩნდება დარსაძისა და კომპანიის უდიდესი ნიჭი თამაშის ორგანიზებაში.*

დავიწყოთ იმით, რომ ამ წერილიდან ორი უცენზურო აბზაცი ამოვიღე (რომელი, ავტორი მიხვდება), თუმცა იმ აბზაცის ამოღებას წერილის არსი არ დაურღვევია.

მეორე ის, რომ ბერძნული კომმარისთვის ყველანი მზად ვართ.

განუგრავას ბავშვურ სახეზე — თქვენი მონა-მორჩილი მას ძალიან კარგად იცნობს და ღრმად არის დარწმუნებული, რომ ამ ბიჭს კარგი მომავალი აქვს... იქამდე თუ არ გააფუჭეს, ისევე როგორც არაერთი ნიჭიერი ბიჭი გაუფუჭებიათ.

სხვა ბიჭებიც არ იხდიან ფულს ნაკრებში მოსახვედრად — ამასაც დარწმუნებით მოგახსენებთ, მაგრამ როგორ გინდა, პატარა ბიჭმა გაუძლოს ცდუნებას და უარი თქვას იმხელა პატივზე, როგორიც ეროვნულ ნაკრებში თამაშია?! სხვა საქმეა, რატომ აცდუნებენ და იწვევენ.

დიმიტრი რამიშვილი პროფლიგას ხელმძღვანელობს და მისი მიზანი საქართველოს ჩემპიონატის ორგანიზება გახლავთ. ამიტომ სანაკრებო სიგლახეები მას, ალბათ, არ უნდა დავაბრალოთ.

ბატონი გაიოზი კი „რეალისთვის“ დასათმობად ნაღდად გვემეტება.

**PATSO-STORMBRINGER**: *გაუმარჯოს! რა გახდა ერთი კარგი უცხოელი მწვრთნელის ხელფასი? მიხედოს ახალკაცმა დაგროვილ ვალებს, ჩვენ ჩვენი ვქნათ: გახსნას „სარბიელმა“ ერთი ფონდი და ვისაც ქართული ფეხბურთი უყვარს, თვეში 5 ლარს გამოვიდეს. „კროკოს“ ოფისი ხომ ბევრგანაა, ჰოდა, ხალხიც იქ მიიტანს ფულს. ეგებ ასე მაინც გვეშველოს რამე.*

*P.S. ახლა „ღამის შოუა“. რას ჰგავს ეს ჩვენი კაპიტანი იტალიელი კუტურიეების ტანსაცმელში რომ დადის. მაგას სჯობია, კობი დანიშნონ კაპიტნად.*

არა გვგონია, ხუთ-ხუთი ლარის აკრეფა უშველიდეს ამ საქმეს. არც ის გვგონია, მაინცდამაინც მილიონდოლარიანი მწვრთნელი გვჭირდებოდეს და არც ის გვგონია, ასე უსაშველო საქმე იყოს მწვრთნელის ხელფასისთვის ფულის შოვნა.

კახა კალაძის ჩაცმულობაზე კი ვერაფერს მოგახსენებთ — მილანი მსოფლიო მოდის დედაქალაქია...

**KOMENTATORI**: *ერთხელ პატარა ბეკეკას დასცხა და წყალი მოსწყურდა, მდინარის პირას მივიდა, წყურვილის მოკვლა რომ სურდა!!!*

*ეგრე არაა, ჩემო ავადმყოფო ქართულო ფეხბურთო. ეს პატარა ბეკეკები ღმუილის მეტს რომ არაფერს აკეთებენ, სუფთა წყლის დალევას იმას ეცილებიან, ვისთვისაც ამღვრეულსაც არ გაიმეტებენ. დიდი წყურვილი კლავდათ ბეკეკებს. წყურვილი, რომელიც წყლის დალევაზე მეტია... და თუკი გულშემატკივარი იმიტომ უსტვენს, რომ ახალი გაკეთებული აქვს ფილტვების ოპერაცია... თუკი ბავშვი იმიტომ უყურებს ფეხბურთს, რომ გინება ისწავლოს, მაშინ ძვირფასო ბეკეკებო, სანამ ვირტუალური მგლობიდან ნამდვილ მგლებად გადაიქცევით, გემუდარებით (ვაი ჩვენს თავს) ის ბეკეკა, რომელსაც თქვენი წყალი არ აუმღვრევია — დაფიქრდით მაინც იმაზე, რომ:*

*ჩვენ ტყუილად არ დავუსტვენთ, ბავშვი გინებას სხვაგანაც ისწავლის;*

*მოხუცი გულშემატკივრების თავის ქიცინი დამბლის ბრალი არ არის.*

*ბრალი და სათვალის ზემოდან საუბარი კი ბეკეკების სტილი არ არის!!!*

*ჰოდა, ეს ბეკეკები გაფრინდებიან, შე გალსტუკიანო შენა?*

ამ წერილის კომენტარი იგავურად რომ გავაკეთო, ან კრილოვი უნდა ვიყო, ან ეზოპე, მაგრამ არც ერთი ვარ და არც მეორე, ამიტომ ასე ვიტყვი: რაღაც არ მომწონს ეს ბეკეკები.

# @hotmail.com




[illegible] ფოლადაშვილის ფოტო

**GOGITA12000**: *დავიწყებ იმით, რომ მაქვს პრეტენზია, თავს გაცნობდეთ როგორც „სარბიელის“ საუკეთესო მკითხველი. თქვენი, ჩემთვის ასე „ლომკა“ გაზეთის მინიმუმ 2300 ნომერი მაქვს ნაყიდი. „სარბიელი“, მოკლედ რომ ვთქვა, ჩემი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია, აგერ ათ წელზე მეტია. ასე რომ, მიხარია, რომ გწერთ.*

*გამომდინარე აქედან და კიდევ იქიდან, რომ ისედაც ფეხბურთის კაი გულშემატკივარი და ვფიქრობ, საკმაო მცოდნეც ვარ, უბრალოდ, აღვნიშნავ, რომ, ბოლო-ბოლო, სიტყვა მეთქმის.*

*ეხლა საქმეზე. მე ასე მგონია, ფედერაციაში ძალიან არაპრინციპული და არაპროფესიონალი ხალხი მუშაობს, რის მაგალითადაც გამოდგება განსაკუთრებით ბოლო დროს არაერთ ფეხბურთელთან, ასევე ჟირესთან ურთიერთობები. კიდევ ის, რომ, მე რომ მწვრთნელი ვიყო და 1:6 წავაგო, ჟურნალისტთან შეხვედრა კი არა, ქუჩაში სირცხვილით ვერ გავიდოდი. ესენი კი გამოდიან და მერე თავი დიდ მცოდნეებად მოაქვთ. სტუდიაში ჯდომითაც მე პირადად დიდად მალიზიანებენ, რაც, ბოდიში და, უზნეობაა.*

*რაც შეეხება თამაშებს. საბერძნეთში ჩვენები ასეთი ფსიქოლოგიით და საქმისადმი მიდგომით უშანსოდ არიან. ეს კი იცით, როგორი ფსიქოლოგიაა? წააგებენ საბერძნეთში ორი ბურთის სხვაობით და მერე... ჩვენ უბრალოდ შეგვაჩვიეს, თავს მოგვახვიეს და ყურები ჩამოგვაყრევინეს, რომ საბერძნეთში ორი, მით უმეტეს, ერთი ბურთით წაგება ნორმალურ შედეგად ჩავთვალოთ. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია, რომ ფედერაციაში დღემდე ასეთი ფსიქოლოგიის ხალხი მუშაობს. 15 წელია ასეა და დარწმუნებული ვარ, არაფერი შეცვლილა. მათ ხელში ჩვენს ფეხბურთს მომავალი არა აქვს.*

*ის კი, ერთი-ერთზე კარგი სადღეგრძელოს მთქმელნი იქნებიან. ვენაცვალე, უბრალოდ, ევაა გულდასაწყვეტი, რომ საქმის კეთება არ იციან.*

*ფეხბურთელებს კი... შოთა არველაძეს ისეთი მაგარი გოლი არ გაუტანია, ნაკრებში რომ არ ჩამოვიდა. არც ეგეთი მაგარი და არც ეგეთი ლამაზი. შოთასთან მიმართებაში სულ რაღაც მქონდა ხინჯად და ხიჭვად და ეს ხიჭვიც თვითონვე ამომილო გულიდან, იმიტომ რომ, მასში ამდენი წლის მანძილზე პირველად დავინახე პრინციპულობა ნაკრებთან მიმართებაში.*

*აი, ასეთ დონემდე მიგვიყვანეს, რომ იაშვილის და არველაძის ნაკრებში ჩამოუსვლელობა გვიხარია. მომავალ შეხვედრამდე.*

*P.S. მოიკითხეთ აი, ის, ზევარდმო ამქრის პირველოსანი. აი, ჩოგბურთზე რომ წერს მაგარ-მაგრებს. ძაან მაგარია.*

ავტორი ფსიქოლოგიას ახსენებს და ამასთან დაკავშირებით მოგახსენებთ ერთ მოსაზრებას: როცა ნაკრების მესვეურები ამბობენ, რომ ისინი დღეს აქცენტს იმ ფეხბურთელებზე აკეთებენ, რომლებმაც მომავალში უნდა ასახელონ ჩვენი ფეხბურთი და ამით დღეს ცდილობენ მომავლის გუნდისთვის საძირკვლის ჩაყრას, ამაში ლოგიკა არის. მაგრამ ერთი რამ მაფიქრებს: სანამ ეს ბიჭები გაიზრდებიან, ამდენი უსუსური წაგებებით მარად დამარცხებულის ფსიქოლოგია ჩამოუყალიბდებათ, რაც ნიშნავს, რომ წაგება მათთვის აღარ იქნება ისეთი მტკივნეული, როგორიც უნდა იყოს და კარგ გუნდთან ერთი ბურთით წაგებას ლამის გმირობად მიიჩნევენ.

**OPERA-86**: *ნადი, კობა! ნადი, კობა! ნადი, კობა! ნადი, კობა! ნადი; კობა! ნადი, კობა! ნადი, კობა! ნადი, კობა! ნადი, კობა! ნადი, კობა! ნადი, კობა! ნადი, კობა! ნადი, კობა! ნადი, კობა! ნადი, კობა! ნადი, კობა! ნადი, კობა! ნადი, კობა! ნადი, კობა! ნადი, კობა! ნადი, კობა! ნადი, კობა! ნადი, კობა! ნადი, კობა! ნადი, კობა! ნადი, კობა! ნადი, კობა! ნადი, კობა! ნადი, კობა! ნადი, კობა! ნადი, კობა!...*

ერთხელაც ვიმეორებ: ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ბატონები ნოდარი, გაიოზი და კობა არსად წამსვლელები არ არიან.

**GOGA**: *კარგ ხალხს გაუმარჯოს. „ისიამოვნეთ“ თამაშით არა? როდემდე უნდა გაგრძელდეს ეს უაზრობა. იმედი მაქვს დარსაძის გონიერების და, საბერძნეთში განადგურების შემდეგ თავისი სურვილით წავა ნაკრებიდან, სხვა გზას ვერ ვხედავ.*

*გოგა გერმანიიდან*

იხილეთ წინა წერილის კომენტარი.

**DEVI ILIA**: *სირცხვილია! ჯობდა, ეგ კაცი სამუდამოდ აგვერჩია მწვრთნელად. პრეზიდენტს ვურჩევ, დროზე მოეგოს გონს, მამამისის (ნათელი მის სულს) დიდ ავტორიტეტს ნუ ბღალავს, ან სპონსორი თუ უნდათ, ვინ იქნება ამ ნაკრების სპონსორი, რომელი ბიზნესმენი?*

*ბატონო გაიოზ, მართლაც დაცვისთვის მივიხედავთ ყაზახებთან ბურთს რომ არ გაუშვებ, ეგეც შედეგია.*

*ყველა გულშემატკივარს ვთხოვ: ხმა ამოიღეთ! ფეხბურთი აღარ გვექნება, ან ვერ ატყობთ, ბიჭები აღარ თამაშობენ. ყაზახეთისთვის როგორ ვერ უნდა მოეგოთ?!*

*სანამ დროა, ნადით!*

*P.S. თქვენ კი, ყველა გაზეთის ჟურნალისტებო, სპორტულის თუ არასპორტულის, უფრო გაბედულად ილაპარაკეთ იმაზე რაც ხდება.*

უბედურება იცით, რა არის? გვეტყვიან, დემეტრაძეს პენალტი რომ გაეტანა, მაშინ ნახავდითო, ხოლო პენალტი რომ ვერ გაიტანა, აბა, რა ჩვენი ბრალიაო.

**JGARKOKOLIA**: *ახალკაცის პიროვნება ჩემში თავიდანვე არანაირ ეჭვს არ იწვევდა, რადგან ნათელი იყო, რომ მას არანაირი კომპეტენცია ფეხბურთში არ გააჩნდა, გარდა იმისა, რომ მამამისის შვილი იყო და კიდევ, ცოტ-ცოტას მენეჯერობდა (ანუ ვაჭრობდა ფეხბურთელებით და ეს საქმეც არ გამოსდიოდა). ჩემთვის მიუღებელი იყო ის ფორმაც, თუ როგორ იქნა ამ კაცის პიროვნება თავს მოხვეული ქართული ფეხბურთისთვის. ეს გარკვეულწილად ძალადობადაც შეიძლება ჩაითვალოს. აღარაფერს ვამბობ იმ პირთა წრეზე და მათ კომპეტენტურობაზე ფეხბურთში, ვინც ახალკაცი თავს მოგვახვია, გააპიარა, დაატრიალა თუ გნებავთ. ასევე აღარაფერს ვამბობ ბატონი ნოდარის მანკიერ „ფეროულ“ გატაცებებზე.*

*კარგით, ამაზე ლაპარაკი ცოტათი დაგვიანებულია, ნება მომეცით, გადავიდე მწვრთნელის საკითხზე, ანუ იმ ფენომენზე, რომელსაც გაიოზი ენოდება. მას და ახალკაცს ერთი საერთო უბედურება აკავშირებთ. ის რომ, ფეხბურთი ერთის ხეირიანად, მეორეს კი ეზოშიც არ უთამაშია. გეთანხმებით, თუმცა ძალიან ცოტა, მაგრამ ყოფილან მწვრთნელი-გენიოსები, რომლებსაც ფეხბურთი საერთოდ არ უთამაშიათ. კარგით, დავუშვათ, გაიოზი ატარებს სამწვრთნელო სემინარებს, გააჩნია C, B, A და ასე შემდეგ ნაირნაირი ლიცენზიები. მაგრამ მარტო თეორიული ცოდნა ხომ არ არის საკმარისი?! აგერ გაიოზის ერთ-ერთ თანაშემწედ დანიშნულ იტალიელზე ფრანკო ფერარიზე თქვა ნოდარმა, ახჩელიძის, ძაკერონის და მალუზაძის აღსანავლებელიაო, ანუ თეორეტიკოსია ეს კაცი, მეცხადოა რაღაც გაგებით. მას რომ მწვრთნელობა შეეძლოს, თავად იმწვრთნელებდა. დამხმარედ კარგია ასეთი კაცი და არა მწვრთნელად. ასევე თეორეტიკოსია გაიოზი. ივი მხოლოდ დამხმარე მწვრთნელად თუ ივარგებს (თუმცა მე ესეც მეეჭვება).*

*ისე კი, მაინტერესო, რაც მახდოდა მეთქვა: არც მწვრთნელების და არც პრეზიდენტების ცვლას არანაირი აზრი არა აქვს, სანამ ერთხელ ჩემპიონატის დონე არ ამაღლდება და მასში ფინანსურად სტაბილური გუნდები არ მოვლენ მონაწილეობის. ამისათვის კი ერთი რამ არის საფიქრო: ქვეყანაში მიღებული უნდა იქნეს კანონი, რომელიც გაითვალისწინებს შეღავათებს ბიზნესმენებისათვის, რომლებიც ფეხბურთში დააბანდებენ თანხებს, ანუ დასპონსორებენ გუნდებს. თუ? აგერ ყურისძირში უკვე გავუთა აზერბაიჯანმა.*

დიახ, აზერბაიჯანმა გასაკეთებელი უკვე გააკეთა. აზერბაიჯანმა კი ბევრმა სხვამაც გააკეთა. ჰკითხეთ სტაჟიან გულშემატკივრებს, რას წარმოადგენდა ოცი წლის წინ, ვთქვათ, თურქული ფეხბურთი...

ვინ არსებობს კანონპროექტი, რომლითაც უნდა წახალისდეს საქართველოში ფეხბურთის განვითარება და ჩვენ არ ვიცით?

თუ არსებობს, გვითხარით, ბატონებო, გვითხარით...

**WEB-ოსტატი გუარა**

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

ეროვნულ ბიბლიოთ

## საოთხშაბათო წესები და შანსები

*იცით რა წერია ფიფას მიერ დამტკიცებულ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის დებულების 7.7 პუნქტში? ის, თუ როგორ უნდა გავარკვიოთ თანაბარი ქულების შემთხვევაში ამა თუ იმ შესარჩევი ჯგუფიდან რომელი გუნდი გადის და რომელი არა. მოგეხსენებათ, შესარჩევი შეჯიბრების ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე ეს ოთხშაბათიღა დარჩა ასე, რომ ახლა დებულების გახსენება ვფიქრობთ საჭირო საქმეა.*

*მაშ ასე: თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ურთიერთშეხვედრებში მოპოვებულ ქულებს . ხაზს ვუსვამთ, რომ ეს ეხება როგორც ორი ასევე სამი გუნდის თანაბარი ქულების შემთხვევას. სამის შემთხვევაში დაითვლება ამ გუნდების ერთმანეთში ნათამაშევი მატჩების ქულები ანუ საგანგებო ცხრილში გუნდებს ექნებათ ოთხ-ოთხი თამაში.*

*თუ ამ მაჩვენებელმაც ვერ გამოავლინა უმჯობესი, დაითვლიან ურთიერთშეხვედრათა გოლების სხვაობას. შემდეგი არგუმენტი უკვე გატანილი გოლების რაოდენობა იქნება, რის შემდეგაც ჯგუფში გატანილ-გაშვებულთა სხვაობას დაუბრუნდებიან. თუ აქაც თანაბრობაა, ჩახედავენ ჯგუფში გატანილი გოლების მეტობას, ხოლო სულ ბოლო გამოსავლად ნეიტრალურ მინდორზე ერთ გადათამაშებასაც იტოვებენ.*

*მიაქციეთ ყურადღება: სტუმრად გატანილ გოლებს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს.*

*ვფიქრობთ, აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, თუ რა კრიტერიუმით შეირჩევა ჯგუფებში მეორე ადგილზე გასულთა შორის ორი საუკეთესო, რომელიც პლეი ოფს გადარჩება:*

*მიუხედავად იმისა თუ რამდენგუნდიანი ჯგუფიდან იქნებიან გასულები, ქულებს ყველას მხოლოდ ზედა ექვს გუნდში დაუთვლიან. ქულების შემდეგ დაითვლიან გატანილ-გაშვებულთა სხვაობას, შემდეგ გატანილების რაოდენობას და ბოლოს ფეარ პლეისაც მიადგებიან.*

### I ჯგუფი

პრაღაში გამარჯვებამ ჰოლანდიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიყვანა.

შესაბამისად, ჩეხებმა ოთხშაბათს ფინეთში უნდა მოიგონ, რათა რუმინელებს აჯობონ და მეორე ადგილი დაიმკვიდრონ. თუ ჩეხები ამას ვერ შეძლებენ, მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ წავლენ, რადგან, თანაბარი ქულების შემთხვევაში, ურთიერთშეხვედრებში უკეთესი შედეგის ძალით პლეი ოფში რუმინელები მოხვდებიან. შეგახსენებთ, რომ რუმინელებმა თავიანთი კალენდარი უკვე ამოწურეს.

### II ჯგუფი

პირველ ადგილზე რომ უკრაინაა ცნობილია. ახლა საქმე ის არის, ვინ იქნება მეორე: დანია, თურქეთი თუ საბერძნეთი.

თურქებმა შაბათს არ ითამაშეს, ოთხშაბათს კი ალბანეთში აქვთ გადამწყვეტი შეხვედრა.

თურქეთზე ერთი ქულით ნაკლები აქვს დანიას, რომელიც ყაზახეთში მიდის და საქართველო ხომ არ არის, ალბათ სამ ქულას მოიპოვებს.

საბერძნეთს დანიაზე ქულით ნაკლები აქვს და საქართველოს მასპინძლობს. რის იმედად არიან ბერძნები? თურქთა და დანიელთა ფრის ან მარცხის. იმ შემთხვევაში, თუ თურქეთმა ალბანეთში ფრე ითამაშა, ხოლო დანიამ ყაზახეთში ვერ მოიგო, ბერძნებს ქართველების დიდი ანგარიშით დამარცხება დასჭირდებათ, რადგან მათი და თურქების ურთიერთამბავი ორი 0:0-ისგან შედგება.

პროგნოზი მკითხველისთვის მიგვინდია.

### III ჯგუფი

პორტუგალიას ლატვიასთან ზეიმის და ტაში-ტუშის მატჩი ელის — საკუთარმა მაყურებელმა მსოფლიოს ჩემპიონატზე გასულს ოვაცია უნდა მოუწყოს.

მეორე ადგილის ბედი კი ბრატისლავაში სლოვაკების და რუსების უშუალო შეხვედრაში გაირკვევა. ამ გუნდების მოსკოვური შეხვედრა 2004 წლის სექტემბერში 1:1 გახლდათ.

### IV ჯგუფი

ამ ჯგუფში პლეი ოფში მოხვედრის შანსი ოთხ გუნდს აქვს.

ამწუთას ისრაელი ლიდერობს, მაგრამ მეტი თამაში აღარ აქვს და ეს მისთვის ძალიან ცუდია — რეალურად, მისი შანსი მეორე ადგილზე გასვლაა, ისიც იმ შემთხვევაში თუ საფრანგეთი ოთხშაბათს წააგებს.

საფრანგეთმა შაბათს შვეიცარიაში 1:1 ითამაშა და ამ ორს ქულებიც თანაბრად აქვს, მაგრამ ბოლო თამაშით ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთისგან: ფრანგები კვიპროსს მასპინძლობენ, შვეიცარიელები კი დუბლინში მიდიან ირლანდიასთან, რომელიც თუ მოიგებს, ჩათვალეთ, რომ პლეი ოფში გავა. მეტიც, თუ ფრანგები კვიპროსს ვერ დაამარცხებენ, მოგების შემთხვევაში ირლანდიელები პირდაპირ გერმანიაში ამოჰყოფენ თავს.

### V ჯგუფი

პირველ ადგილზე იტალიაა, რომელსაც ვეღარავინ დაეწევა, ხოლო მეორეზე ნორვეგია. მოკლედ, ამ ჯგუფში საინტერესო აღარაფერია.

### VI ჯგუფი

ინგლისიც გასულია ჯგუფიდან და პოლონეთიც, უბრალოდ გარკვეული არ არის რომელი გავა პირველ ადგილზე და რომელი მეორეზე. ეს ამბავი მანჩესტერში, მათი უშუალო დაპირისპირებაში გადაწყდება. ინგლისს მოგება უნდა, პოლონეთს ფრეც ჰყოფნის.

### VII ჯგუფი

სერბეთისა და ჩერნოგორიის ნაკრებს ჯგუფიდან გაყოფილი აქვს თავი, მაგრამ პირველ ადგილზე დამტკიცებისთვის ოთხშაბათს შინ ბოსნიის დამარცხება სჭირდება.

პირველ ადგილზე გასვლა თეორიულად ესპანეთსაც შეუძლია, ოღონდ ამისთვის კოჭი ალჩუზე უნდა დაუჯდეს — თვითონ სან მარინოში რომ მოიგებს, ბოსნიამ ზემოხსენებული თამაში უნდა წააგოს.

ბოსნიამ კი თავადვე უნდა მოუგოს სერბეთს თუ რამე უნდა.

### VIII ჯგუფი

ხორვატია პირველი ან მეორე ადგილით ჯგუფიდან გასულია. ერთადერთი, რაც მათი გასაკეთებელია უნგრეთთან ფრე გახლავთ.

შვედებიც გასულები არიან და შინ ისლანდიას ხვდებიან.

**პაპუნა კედია**

---

## მარკომ იცოდა

### I ჯგუფი

**ჩეხეთი 0:2 ჰოლანდია**

**0:1 ვან დერ ვაარტი (32), 0:2 ოპდამი (38)**

**ჩეხეთი:** ჩეხი, როზეჰნალი, გრიგერა, უიფალუში, ჟირანეკი (შმიცერი 45), პობორსკი, როსიცკი, გალაშეკი, პოლაკი (ბაინცი 58), შტაინერი (დ. იაროლინი 77), ბაროში

**მწვრთნელი:** კარლ ბრიუკნერი

**ჰოლანდია:** ვან დერ სარი, კრომკამპი (დე იონგი 85), ბულარუზი (ბაარი 57), ოპდამი, ვან ბრონკჰორსტი, ლანძაატი, მადურო, ვან დერ ვაარტი, კუიტი, რობენი (ვან პერსი 77), ვან ნისტელროი

**მწვრთნელი:** მარკო ვან ბასტენი

**მსაჯი:** ალან სარსი (საფრანგეთი)

**17 478 მაყურებელი**

**ჩეხეთს** ქულა უნდოდა პლეი ოფის გასანაღდებლად, მაგრამ ქულას ვინ ჩივის, ჰოლანდიამ რვაწუთიან მონაკვეთში მოამთავრა საქმე და გერმანიის ვიზა ჩაიჯიბა.

გამართლდა „ნარინჯისფერთა“ თავკაცის ვარაუდი, კოლერისა და ლოკვენცის გარეშე მასპინძლებს გაუჭირდებათო. ასეც მოხდა, თუმც მილან ბაროშმა თავის საკეთებელი კარგად შეასრულა. 28-ე წუთზე პენალტი მოინადირა, მაგრამ ჯაფა ტომაშ როსიცკიმ ვერ დაუფასა. ბორუსიელის დარტყმული ბურთი ვან დერ საარმა მოიგერია. ეს იყო და ჰოლანდია რაფაელ ვან დერ ვაარტმა დააწინაურა. არიენ რობენმა VDV-ს (ასე აძახიან ვან დერ ვაარტს) კანფეტ-პასი გაუკეთა, ჰამბურგის ნახევარმცველმა კი ცამეტიოდ მეტრიდან საგოლედ დაჰკრა.

ირჟი შტაინერმა უმალ გაუტანა სტუმრებს, ალენ სარსმა კი ოფსაიდის გამო გაუუქმა.

ჰოლანდიელთა მეორე ბარი ოპდამმა მიითვალა, რომლისთვისაც ეს მესამე სანაკრებო მატჩი იყო, გოლი კი — პირველი.

ჩეხთა უბედურებას ისიც დაემატა, რომ შერკინებამდე მარტინ იაჩნეკი დაშავდა და ბრიუკნერმა იგი ვლადიმირ შმიცერით შეცვალა. ჯერ კიდევ ტრავმამოუშუშებელი შმიცერი ორჯერ შორიდან დარტყმით გამორჩა, ხოლო მოგვიანებით მილან ბაროშმა ბურთი ძელს მოარტყა.

**ფინეთი 0:1 რუმინეთი**

**0:1 მუტუ (42პ)**

**რუმინეთმა** შესარჩევი ტურნირი დაასრულა და ოთხშაბათს ფინეთი-ჩეხეთის მატჩში ფინელების საქომაგოდ ემზადება.

რუმინელებმა ჰელსინკში ადრიან მუტუს პენალტით იმარჯვეს, რომელიც იონუტ მაზულის წაქცევისთვის დაინიშნა. „იუვეს“ ფორვარდმა მარჯვენა დაბალ კუთხეში გაიტანა. ბოლო წუთზე ტეემუ ტაინიოს შეეძლო გათანაბრება, მაგრამ ბურთი ძელს შეახეთქა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ჰოლანდია** | 11 | 10 | 1 | 0 | 27:3 | 31 |
| **რუმინეთი** | 12 | 8 | 1 | 3 | 20:10 | 25 |
| **ჩეხეთი** | 11 | 8 | 0 | 3 | 32:12 | 24 |
| **ფინეთი** | 11 | 5 | 1 | 5 | 21:16 | 16 |
| **მაკედონია** | 11 | 2 | 2 | 7 | 11:24 | 8 |
| **ანდორა** | 11 | 1 | 2 | 8 | 4:31 | 5 |
| **სომხეთი** | 11 | 1 | 1 | 9 | 6:25 | 4 |

### III ჯგუფი

**პორტუგალია 2:1 ლიხტენშტაინი**

**0:1 ფიშერი (33), 1:1 პაულეტა (49), 2:1 ნუნუ გომეში (86),**

**პორტუგალია:** რიკარდო, რ. კარვალიუ, პ. ფერეირა, ჟ. ანდრადე, ნ. ვალენტე, პეტიტი, მანიშე (ტიაგო 72), კ. რონალდო (ნუნუ გომეში 84), სიმაო (უგო ვიანა 75), ფიგუ, პაულეტა

**მწვრთნელი:** ლუიშ ფელიპე სკოლარი

„**ამდენი** შეცდომა არ გვეპატიება. დაახლოებით 10 საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ“ — თქვა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ, რომლის გუნდმაც გერმანიის საგზური გაინაღდა. ათიდან ერთი კი მწვრთნელის სეხნია ფიგუმ გაიფორმა, რომელმაც 58-ე წუთზე პენალტი უხეიროდ შეასრულა — ბურთი ხარიხას მოარტყა.

ლიხტენშტაინმა, ისევე როგორც შარშან, ამჯერადაც ანერვიულა პორტუგალიელები. ბენჟამინ ფიშერმა მეკარე რიკარდოსა და მცველ პაულო ფერეირას დაბნეულობით ისარგებლა და ანგარიში გახსნა.

მასპინძლებმა მეორე ტაიმის დასაწყისში გაათანაბრეს — კრისტიანო რონალდოს პასი, პედრო პაულეტას თავური და მე-40 სანაკრებო გოლი. პაულეტას ეუსებიოს რეკორდამდე ერთიღა უკლია.

სკოლარი რომ დროული და სწორი შეცვლის ოსტატია, ბევრჯერ დაუმტკიცებია. ამჯერადაც გამოიცნო, როცა 84-ე ნუნუ გომეში შეუშვა და ფორვარდმა ორ წუთში ფიგუს კუთხური გოლად აქცია.

ლიხტენშტაინის მწვრთნელ მარტინ ანდერმატს კი ის უხაროდა, რომ მისმა გუნდმა შესარჩევი ტურნირი 8 ქულით დაასრულა. ამდენი აქამდე არასოდეს მოუგროვებიათ.

## ურა, იურა!

### სკოლარიმ ნუნუ გამოიცნო



პორტუგალია — ლიხტენშტეინი 2:1. ნუნუ გომეშმა გამარჯვების გოლი შეაგდო

**რუსეთი 5:1 ლუქსემბურგი**

**1:0 იზმაილოვი (7), 2:0 კერჟაკოვი (18), 2:1 რაიტერი (52პ), 3:1 პავლიუჩენკო (65), 4:1, 5:1 კირიჩენკო (74, 90)**

**რუსეთი:** აკინფეევი, ვ. ბერეზუცკი, ა. ბერეზუცკი, სენნიკოვი, ანიუკოვი, გუსევი, ლოსკოვი, სემშოვი, იზმაილოვი (სემაკი 55), არშავინი (პავლიუჩენკო 61), კერჟაკოვი (კირიჩენკო 68)

**მწვრთნელი:** იური სიომინი

**ნამატჩევს** საპრესკონფერენციო დარბაზში შესულ იური სიომინს მავანი გალეშილი ფანი შეჰყვა და ყვიროდა: „იურა! იურა!“ თითქოს რუსეთს ლუქსემბურგი კი არა, ბრაზილია დაემარცხებინოს.

რუსები „კარლიკ“ ლუქსემბურგს რომ მოუგებდნენ, ამას მკითხაობა არ უნდოდა. მედია სიომინისგან ათბურთიანი სხვაობით გამარჯვებას ითხოვდა, რათა ბოლო ტურში სლოვაკეთში ფრისთვის ჩასულიყვნენ.

ოც წუთში გატანილმა ორმა გოლმა რუსი ფანების კიდევ შეიდი-რვის მოლოდინში ხელები აფშვნეტინა, მაგრამ ამაოდ. ლუქსემბურგი მასპინძლებს გაუძალიანდა და ხუთზე მეტი არ გაუშვა. დმიტრი კირიჩენკომ დუბლი შეასრულა, რომელმაც საჯარიმო გოლების ანგარიში გახსნა, პირველი კი ლამაზი გამოუვიდა — ბურთი მკერდით მიიღო და მერე „მაკრატელა“ დარტყმით გაიტანა.

**ვაჟა ხუციშვილი**

**სლოვაკეთი 1:0 ესტონეთი**

**1:0 ჰლინკა (76)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **პორტუგალია** | 11 | 8 | 3 | 0 | 32:5 | 27 |
| **სლოვაკეთი** | 11 | 6 | 4 | 1 | 24:8 | 22 |
| **რუსეთი** | 11 | 6 | 4 | 1 | 23:12 | 22 |
| **ლატვია** | 11 | 4 | 3 | 4 | 18:18 | 15 |
| **ესტონეთი** | 11 | 4 | 2 | 5 | 14:17 | 14 |
| **ლიხტენშტაინი** | 12 | 2 | 2 | 8 | 13:23 | 8 |
| **ლუქსემბურგი** | 11 | 0 | 0 | 11 | 5:46 | 0 |

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

## სამუელსენის ჩახვეული



AFP ბერნიდან

შვეიცარია 1:1 საფრანგეთი. წაქცეულმა პასკალ ცუბერბიულერმა ჯიბრილ სისეს დარტყმა ვერ მოიგერია

**IV ჯგუფი**

**შვეიცარია 1:1 საფრანგეთი**

0:1 ჯ. სისე (52), 1:1 მანინი (80)

**შვეიცარია:** ცუბერბიულერი, დეგენი, მანინი, პ. მიულერი, სენდეროსი, უიკი (ლუსტრინელი 83), კაბანასი, ფოგელი, ბარნეტა (ბეხრამი 90), ვონლანტერი (გიგაქსი 60), ფრეი

მწვრთნელი: იაკობ კუნი

**საფრანგეთი:** კუპე, ტურამი, რევეილიერი, ბუმსონგი, გალასი, მაკელელე, ვიეირა, ფ. მალუდა (გოვუ 90), ზიდანი, დორასო (ჯ. სისე 46), ვილტორდი

მწვრთნელი: რაიმონ დომენეკი

მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

31 400 მაყურებელი

**შეცვლაზე** შესულმა ჯიბრილ სისემ მიულერის შეცდომის შედეგად ფრანგები დააწინაურა, მაგრამ შვეიცარიელებმა ფილიპ სენდეროსის წყალობით გაათანაბრეს.

„იუვენტუსის“ მცველმა ლილიან ტურამმა ნამატჩევს თქვა: „სილვენ ვილტორდი მარტო იყო წინა ხაზზე და ვერაფერი მოახერხა, რადგან მცველებმა გასაქანი არ მისცეს. სისეს შემოსვლის შემდეგ კი ჩვენი შეტევები უფრო აზრიანი გახდა“.

რაიმონ დომენეკი: „ადრევე ვივარაუდე, რომ ამ ჯგუფში ყველაფერი ბოლო ტურში გადაწყდება. შვეიცარიელებთან გაგვიჭირდა, რადგან ტრეზეგე და ანრი არ გვყავდა. ამას თუ გავითვალისწინებთ, ფრე კარგი შედეგია“.

მასპინძელთა მწვრთნელმა იაკობ კუნმა კი განაცხადა, სამ ქულას ვიმსახურებდით, რაკი ფრანგებზე უკეთ ვითამაშეთო.

„ეს ერთ-ერთი საუკეთესო სანაკრებო მატჩი იყო, შვეიცარიას შეუძლია, იამაყოს ასეთი გუნდით. ირლანდიაში მოსაგებად ჩავალთ და ვიმედოვნებ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს მოვიპოვებთ“ — აღნიშნა „რენის“ მეგოლე ალექსანდრ ფრეიმ.

**კვიპროსი 0:1 ირლანდია**

0:1 ელიოტი (6)

ოკასმა (კვიპროსი) ვერ გაიტანა პენალტი (15)

**ამ მატჩის** გმირი ირლანდიელთა მეკარე შეი გივენია, რომელმაც პირველ ტაიმში პენალტი მოიგერია, მოგვიანებით კი კიდევ ორი ბურთი სასწაულებრივ გამოაძრო.

სტუმრები მეექვსე წუთზე სტეფან ელიოტის გოლით დაწინაურდნენ. მეთოთხმეტე წუთზე კი რიჩარდ დანმა ოკასი საპენალტედ წააქცია. ოკასმა თავად დაარტყა თერთმეტი მეტრიდან, თან ძალიან ძლიერად, მაგრამ გივენმა არ გაატანინა. მეორე ტაიმში ირლანდიელებს დამიენ დაფი დაუშავდათ და ეგებ ზეგ შვეიცარიასთან ვერც ითამაშოს, რაც ბრაიან კერის გუნდისთვის დიდი დანაკლისი იქნება.

**ისრაელი 2:1 ფარერები**

1:0 ბენაიუნი (1), 1:1 ზანდბერგი (90), 2:1 ზანო (90)

**ისრაელმა** შესარჩევი ტურნირი ფარერებთან მოგებით დაამთავრა და დროებით პირველ ადგილზე გადაბრძანდა, რადგან ზეგ სამიდან (შვეიცარია, საფრანგეთი, ირლანდია) ერთ-ერთი მაინც გადაასწრებს.

„ვესტ ჰემის“ ფორვარდმა იოსი ბენაიუნმ სტუმრებს 48-ე წამზე გაუტანა. შეცვლაზე შესულმა მიხაელ ზანდბერგმა კი სხვაობა ორამდე გაზარდა, მაგრამ ამათ გოლებს ფარერელი სიმენ სამუელსენის ჯილი სჯობდა, რომელმაც თითქმის კუთხურის ალმიდან ჩახვია და მეკარე ნირ დავიდოვიჩმა ხაზსმიღნითდა მოიხელთა ბურთი.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ისრაელი | 10 | 4 | 6 | 0 | 15:10 | 18 |
| შვეიცარია | 9 | 4 | 5 | 0 | 18:7 | 17 |
| საფრანგეთი | 9 | 4 | 5 | 0 | 10:2 | 17 |
| ირლანდია | 9 | 4 | 4 | 1 | 12:5 | 16 |
| კვიპროსი | 9 | 1 | 1 | 7 | 8:16 | 4 |
| ფარერები | 10 | 0 | 1 | 9 | 4:27 | 1 |



AFP ნიქოზიიდან

კვიპროსი — ირლანდია 0:1. ირლანდიამ კვიპროსს მოუგო და შვეიცარიას ელოდება

**V ჯგუფი**

**იტალია 1:0 სლოვენია**

1:0 ძაკარდო (78)

**იტალია:** პერუცი, ძამბროტა, ნესტა, კანავარო, გროსო, კამორანეზი, პირლო (დე როსი 82), გატუზო, ტოტი, ტონი (ვიერი 88), ჯილარდინო (ძაკარდო 61)

მწვრთნელი: მარჩელო ლიპი

## პალერმოული საღამო



AFP პალერმოდან

იტალია — სლოვენია 1:0. კრისტიან ძაკარდომ შეცვლაზე შევიდა და გოლი შეაგდო

**პალერმოელი** მცველის კრისტიან ძაკარდოს თავურმა „სკუადრა აძურა“ მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიყვანა, სლოვენიის ნაკრებს კი საქმე გვარიანად გაურთულა. იტალიელებს ამ შეხვედრაში ფრეც ხელს აძლევდათ, მაგრამ ფრეზე თამაში არ იკადრეს. ამის დასტური ის არის, რომ მარჩელო ლიპიმ მოედანზე სამი ფორვარდი შეუშვა — ფრანჩესკო ტოტი, ლუკა ტონი და ალბერტო ჯილარდინო. სხვათა შორის, ლუკა ტონის პალერმოს „ბარბერაზე“ შეკრებილი ხალხი მეტისმეტად გულცივად შეხვდა — ეს ფეხბურთელი ამ ზაფხულს წავიდა სიცილიური კლუბიდან, რაც გულშემატკივარმა არ აპატია.

ისიც გავიხსენოთ, რომ სლოვენია ერთადერთი გუნდი გახლდათ, რომელმაც „სკუადრა აძურას“ ამ შესარჩევ ციკლში მარცხი აგემა.

თამაში იტალიელთა სწრაფი და სახიფათო იერიშით დაიწყო. ტოტიმ ჩინებული პასით გაიყვანა ჯილარდინო საგოლე პოზიციაზე, მაგრამ თავდამსხმელს მეკარემ აჯობა. ცოტა ხანში ჯენარო გატუზოს და ტონის ჰქონდათ კარგი მომენტები. საერთოდაც, სტუმართა მეკარემ რამდენჯერმე აშკარა ძალისგან იხსნა თავისი გუნდი. მერე ტოტიმ ძელსაც გაარტყა.

იტალიელებს ორი გოლიც გააუქმეს — ტოტიზე მსაჯმა თამაშგარე აღნიშნა, თუმცა ტელეგამეორებაზე რაც გამოჩნდა, საეჭვო ოფსაიდი იყო. მერე ჯილარდინოს არ ჩაუთვალეს.

დრო გადიოდა, გოლი არ ჩანდა და ლიპიმ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: ჯილარდინო ძაკარდოთი შეცვალა — მცველი თავდამსხმელს ამჯობინა და 4-4-2 სისტემით განაგრძო თამაში. სისტემისა რა მოგახსენოთ, ძაკარდო კი, თავისი გოლით მატჩის გმირად შეიქნა.

კიდევ ბლომად წახდენილი მომენტის მერე თამაში დასრულდა, იტალია მუნდიალზე გავიდა, მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე კი გამარჯვებულმა მწვრთნელმა თქვა: „აქამდე ღირსეულად ვთამაშობდით, თუმცა ნაღდი ბრძოლა მსოფლიოს ჩემპიონატზე გველის. დროს გავუსწრებ და ვიტყვი, რომ მსოფლიოს ჩემპიონობის უმთავრეს ფავორიტად ბრაზილიას მიიჩნევენ, მაგრამ ყველას ვურჩევ, ჩვენც ნუ ჩამოგვწერენ“.

**შოტლანდია 0:1 ბელარუსი**

0:1 კუტუზოვი (6)

**ნორვეგია 1:0 მოლდოვა**

1:0 რუშფელდტი (50)

**ჯგუფის** დარჩენილ შეხვედრებში ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ნორვეგიას აწყობდა.

სკანდინაველებმა შინ მშვიდად ითამაშეს და მოლდოველებთან სრულ უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ მხოლოდ ერთი გოლის გატანა შეძლეს. მორტენ გამსტ პედერსენის კუთხურს სიგურდ რუშფელდტმა თავი დაუხვედრა.

ბოლო ტურში ნორვეგიელებს მინსკში ელით გასვლა, სადაც ფრეც ყოფნით მეორე ადგილზე გასასვლელად. თუმცა ბელარუსი არაფერს დათმობს რომ არ აპირებს, შოტლანდიასთან მატჩშიც გამოჩნდა.

ამ ტურამდე ბრიტანელები მეორე ადგილზე გასვლის შანსს ინარჩუნებდნენ და გამარჯვება ჰქონდათ სჭირდებოდათ, მაგრამ უმოტივაციო ბელარუსის სტუმრებს ქულაც არ დაუტოვა.

„ჰემპდენ პარკზე“ ერთადერთი გოლი მალევე გავიდა — სტუმართა წამყვანმა ფორვარდმა ვიტალი კუტუზოვმა კუთხეს კარგად დაუმიზნა.

მასპინძლები ბევრს ეცადნენ და რამდენიმე საგოლე მომენტიც გააჩიავეს, მაგრამ ანგარიშის გათანაბრება ვეღარ მოახერხეს და მუნდიალზე ოცნებასაც დაემშვიდობნენ.

**კოტე კეკელია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 9 | 6 | 2 | 1 | 15:7 | 20 |
| ნორვეგია | 9 | 4 | 3 | 2 | 11:7 | 15 |
| სლოვენია | 9 | 3 | 3 | 3 | 10:10 | 12 |
| ბელარუსი | 9 | 2 | 4 | 3 | 12:13 | 10 |
| შოტლანდია | 9 | 2 | 4 | 3 | 6:7 | 10 |
| მოლდოვა | 9 | 1 | 2 | 6 | 4:14 | 5 |

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

ეროვნული ბიბლიოთეკა



AFP

ინგლისი — ავსტრია 1:0. ფრენკ ლამპარდმა (მარცხნივ) ერთადერთი გოლი გაიტანა

## უცებ ინგლისი გავიდა

**VI ჯგუფი**

**ინგლისი 1:0 ავსტრია**

1:0 ლამპარდი (25პ)

**ინგლისი:** რობინსონი, იუნგი, ს. კემპბელი (რ. ფერდინანდი 65), ტერი, კარაგერი, ბექჰემი, ჯერარდი, ლამპარდი, ჯო კოული (ლ. კინგი 63), ოუენი (რიჩარდსონი 81), კრაუჩი

მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი

გაძევება: ბექჰემი (59, ინგლისი)

**ინგლისის** ნაკრებმა შეასრულა დანაპირები: ერთი ბურთით, გაჭირვებით მოუგო ავსტრიელებს და საქმეც ისე აეწყო, რომ უკვე გავიდა მსოფლიო ჩემპიონატზე. მოულოდნელად, აზრი დაკარგა ინგლის-პოლონეთის გადამწყვეტმა თამაშმა. ამ ჯგუფიდან მსოფლიო ჩემპიონატზე ორი გუნდი გავა. ყველაფერი კი იმიტომ, რომ ჰოლანდიამ 2:0 მოუგო ჩეხეთს და სწორედ ამან მისცა ინგლისურ ჯგუფს უმაღლესი მეორე ადგილი.

ინგლისი ავსტრიას ეთამაშებოდა, „ოლდ ტრეფორდზე". თამაშის ერთადერთი გოლი 25-ე წუთზე ფრენკ ლამპარდმა გაიტანა პენალტით. სწორედ თამაშის წინ თქვა დევიდ ბექჰემმა, ჩემს სანაკრებო პენალტისტობას ვამთავრებ, ამიერიდან ფრენკი დაარტყამსო. ჰოდა, ფრენკიმაც დაარტყა.

თავად ბექჰს კი უიღბლო დღე ჰქონდა, 59-ე წუთზე მეორე ყვითელი მიიღო და მოედანი დატოვა. ბექჰემი მას შემდეგ არ გაეძევებინათ მინდვრიდან, რაც 1998 წელს დიეგო სიმეონესთან მოუხდა ამბავი. საერთოდ, კი ის შეიქნა პირველი კაცი ნაკრების ისტორიაში, ორჯერ რომ მიიღო წითელი ბარათი.

ორივე ყვითელი ნაკრების კაპიტანმა ერთ წუთში მიიღო: ორჯერვე ანდრეას იბერცბერგერზე დაჯარიმდა. თუმცა, მსაჯ ლუის მედინა კანტალეხოს ნამეტანი მოუვიდა: პირველად კი მოარტყა იდაყვი ავსტრიელს, მაგრამ მეორედ იბერცბერგერი თავად გაკოტრიალდა.

იმის მიუხედავად რომ ათნი დარჩნენ, ინგლისელებს, ისევ და ისევ ლამპარდს გატანა შეეძლოთ.

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ავსტრიელებს ბურთი ეჭირათ. ამ თამაშში ინგლისელებს სოლ კემპბელიც დაუძლვდათ და ოთხშაბათს ისიც არ ეყოლებათ, ისევე როგორც დასჯილი ბექჰი.

სვენ გორან ერიკსონმა კი თქვა: „ეს იყო ჩვენი საუკეთესო სეზონი ამ თამაშში. გულშემატკივრებმაც დიდი როლი ითამაშეს. საერთოდ, ვგრძნობდით რომ მთელი ერი გვედგა ზურგსუკან. წინ კი ბევრი სამუშაო".

რაც შეეხება ბექჰემ-კანტალეხოს ამბავს: ესპანეთის თასის თამაშში ამ მსაჯმა უკვე გააძევა ინგლისელი ორი ყვითლით, ეს 2004 წელს იყო და საერთოდ, ის არ ითვლება ბექჰემის მწყალობელ მსაჯად.

**ირაკლი გამყრელიძე**

**ჩრდ. ირლანდია 2:3 უელსი**

0:1 ს. დევისი (27), 0:2 კ. რობინსონი (38), 1:2 გილესპი (46), 2:2 დევისი (50), 2:3 გიგზი (61)

*პართსონმა (უელსი) ვერ გაიტანა პენალტი (41)*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 9 | 8 | 0 | 1 | 26:7 | 24 |
| ინგლისი | 9 | 7 | 1 | 1 | 15:4 | 22 |
| ავსტრია | 9 | 3 | 3 | 3 | 13:12 | 12 |
| ჩრდ. ირლანდია | 9 | 2 | 3 | 4 | 10:16 | 9 |
| უელსი | 9 | 1 | 2 | 6 | 8:15 | 5 |
| აზერბაიჯანი | 9 | 0 | 3 | 6 | 1:19 | 3 |

## ბელგია ტორესს და რეიესს შეეწირა

**VII ჯგუფი**

**ბელგია 0:2 ესპანეთი**

0:1, 0:2 ფ. ტორესი (56, 59)

**ბელგია:** პროტო, ჰოფკინსი, დეშახტი, ვან ბუიტენი, ვანდენ ბორე (დეფლანდრე 61), სინონსი, გოორი, ვანდერჰეიგე, ბუფელი (ვალასიაკი 61), ე. მპენზა, მ. მპენზა (პიერონი 74)

მწვრთნელი: ემე ანტუანესი

**ესპანეთი:** კასილიასი, სალგადო, მარჩენა, პუიოლი, ა. ლოპესი, ხოაკინი (დ. ვილა 52), ალბელდა, ხავი, ვისენტე (რეიესი 52), რაული, ფ. ტორესი (ბარახა 68)

მწვრთნელი: ლუის არაგონესი

მსაჯი: ლიუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

43 000 მაყურებელი

**ფერნანდო ტორესმა** მამის ლუის არაგონესსა და მთელ ესპანეთს იმედები გაუმართლა. „ელ ნინიომ" ბელგიის ნაკრებს ორი ლამაზი ბურთი შეუგდო. არადა, „მეფე ბოდუენზე" მატჩის შესვენების მერე სტუმართა თავკაცს სტადიონზე საქომაგოდ ჩასული 12 ათასი ინჩასისთვის რომ ეკითხა, ჩემი ბიჭებიდან რომელი შევცვალოო, უთუოდ ტორესზე მიუთითებდნენ — პირველ ტაიმში „ატლეტიკოს" ფორვარდი საშინელი სანახავი გახლდათ. თუმც არაგონესმა მოედანზე რეიესი და ვილია რომ გამოიყვანა, გუნდი გამოცოცხლდა და შეხვედრის დასასრულს ტაბლოზეც ესპანელთა სასიხარულო 0:2 ენთო.

თამაშის პირველ ნახევარში მასპინძლები გაბატონდნენ. თამაშის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე ჯგუფის ლიდერმა სერბეთმა ლიტვის ნაკრებს მოუღო ბოლო და პირველი ადგილის მაძიებელი ესპანეთი „ბოდუენზე" ნირწამხდარი გავიდა. ალბელდა არ ვარგოდა, ხავი არასდროს ადგილზე არ იყო და ხოაკინიც მივარუულივით დაბორიალობდა... ბარტ გოორმა და ტომას ბუფელმა კასილიასი ორჯერ შეაწუხეს, სტუმრებს კი მხოლოდ ალბელდას ეპიზოდი თუ აქვთ სათქმელი — ვისენტეს შესანიშნავი პასის შემდეგ ვალენსიელმა გოლიც გაიტანა, თუმცა ბურთს თავის მაგივრად ხელი დაჰკრა და 0:1-ის მაგივრად ყვითელი ბარათი მიიღო. მთავარი ამბები მეორე ტაიმში მოხდა — ვისენტეს მაგივრად გასულმა რეიესმა მცირე ხანში ფერნანდო ტორესს დამხვდურთა კარი მიჯრით ორჯერ დაალაშქვრინა. ამის მერე თამაშის ტემპი და ბელგიელთა ოპტიმიზმი ერთად დაეცა... ესპანელებმა მატჩი მშვიდად ჩაამთავრეს.



ბელგია — ესპანეთი 0:2. ფერნანდო ტორესმა სამ წუთში ორჯერ გაიტანა

**ლიტვა 0:2 სერბეთი**

0:1 კეჟმანი (42), 0:2 ვუკიჩი (88)

**სერბეთი:** იევრიჩი, გავრანჩიჩი, ვიდიჩი, ნადი, ჯორჯევიჩი, ვუკიჩი, დ. სტანკოვიჩი (მლადენოვიჩი 10), ლუკოვიჩი, კრსტაიჩი, ილიჩი (ლუბოია 56), კეჟმანი

მწვრთნელი: ილია პეტკოვიჩი

**ვილნიუსის** შეხვედრა სერბთა იერიშებით დაიწყო. ლიტველთა საჯარიმოს მისადგომებთან პირველი სახიფათო ეპიზოდი მერვე წუთზე შეიქმნა, თუმც პრედრაგ ჯორჯევიჩის დარტყმა მასპინძელთა გოლკიპერმა კარჩემარსკასმა უკუაგდო. თანდათან ბალტიისპირელებიც გამოცოცხლდნენ. 21-ე წუთზე იანკაუსკასის გოლს წინ თითქოს არაფერი ედგა, თუმც ლიტველს სიზუსტე დააკლდა. ანგარიში 42-ე წუთზე გაიხსნა — სერბთა ვარსკვლავმა მატია კეჟმანმა ჯორჯევიჩის კარგი გადაცემით ისარგებლა, როლანდას ჟიაუკშტასი მოატყუა და დაახლოებით 7 მეტრიდან გაიტანა.

მეორე ტაიმის დასაწყისში დამხვდურებმა მრავალსვლიანი, ლაზათიანი კომბინაცია გაათამაშეს, ოღონდ დეივიდას ჩესნაუსკასის დამაგვირგვინებელი დარტყმა სერბთა მეკარე ევრიჩმა განაღმა. 63-ე წუთზე კი კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს ლიტველმა სკერლამ ოდნავ უზუსტოდ დაახვედრა თავი... მასპინძელთა მცდელობების მიუხედავად, გატანილი გოლით მაინც ილია პეტკოვიჩის ბიჭებმა გაიხარეს. საფინალო სასტვენიდან 5 წუთით ადრე ზვონიმირ ვუკიჩმა მარჯვენა ფლანგზე იგორ მორინას გვერდი აუარა, ცენტრისკენ გადაინაცვლა და ტექნიკური დარტყმით დაღონებულ კარჩემარსკასს ბურთთან ერთად კარის ბადეში მიუჩინა ადგილი.

„ეს მატჩი ჩვენი გუნდისთვის სერიოზული ფსიქოლოგიური ტესტი გახლავთ. სერბეთს ურიგოდ არ უთამაშია, ლიტველებმა კი ბევრი პრობლემა შეგვიქმნეს" — აღნიშნა ბალკანელთა მწვრთნელმა ილია პეტკოვიჩმა.

„ჯგუფის უძლიერეს გუნდთან წავაგეთ. ჩემს შეგირდებს გამარჯვებისადმი სწრაფვა არ აკლდათ, თუმც ბედიც სერბთა მხარეს იყო" — განაცხადა მატჩის შემდეგ ალგიმანტას ლიუბინსკასმა, ლიტველთა დამრიგებელმა.

**ბოსნია 3:0 სან მარინო**

1:0, 2:0, 3:0 ბოლიჩი (47, 74, 82)

სამი ქულა მასპინძელ ბოსნიას იოლად არ რგებია. სან-მარინომ ბლაჟ სლიშკოვიჩის მოწაფეთა იერიშებს ვაჟკაცურად გაუძლო და „ზენიცაზე" შეკრებილმა ფანებმა პირველი ნანატრი გოლი მარტო 48-ე წუთზე ნახეს ელვირ ბოლიჩმა ივიცა გრლიჩის პასს მეტოქის კარში მიუჩინა ადგილი. შესვენებამდე კი სტუმართა საჯარიმოში ყველაზე სახიფათო მომენტი მე-11 წუთზე იყო — ემირ სპახიჩმა ძლის დააჭედა ბურთი. აუტსაიდერი სან-მარინო მეორე გოლით ზუსტად იმავე ბოსნიელებმა დაამწუხრეს — გრლიჩის გადაცემით ისევ ბოლიჩმა ივარგა. 85-ე წუთზე კვლავ და კვლავ ბოლიჩი: ასეთ რად მასპინძელთა მეათე ნომრის მისიმოვიჩის უკუგდებულ დარტყმის თავისი აუღებელი გასროლა დაამატა.

„დღევანდელი თამაში რთული იყო, რადგან ბიჭები ფიქრით უკვე ბელგრადში იყვნენ" — უთქვამს დამხვდურთა თავკაც სლიშკოვიჩს.

**ლადო ხომერიკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერბეთი | 9 | 5 | 4 | 0 | 15:1 | 19 |
| ესპანეთი | 9 | 4 | 5 | 0 | 13:3 | 17 |
| ბოსნია | 9 | 4 | 4 | 1 | 12:8 | 15 |
| ბელგია | 9 | 3 | 2 | 4 | 15:10 | 11 |
| ლიტვა | 9 | 2 | 3 | 4 | 7:8 | 9 |
| სან მარინო | 9 | 0 | 0 | 9 | 2:34 | 0 |

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

## ოჰ, რა კარგია მეორე ადგილი

**VIII ჯგუფი**

**ხორვატია 1:0 შვედეთი**

**1:0 სრნა (56პ)**

**ხორვატია:** ბუტინა, რ. კოვაჩი, სიმუნიჩი, ტუდორი, ტომასი, სრნა, ბაბიჩი, ნ. კოვაჩი, კრანჩარი, პრსო (სიმიჩი 90), კლასნიჩი (ბოსნიაკი 70)

**მწვრთნელი:** ზლატკო კრანჩარი

**შვედეთი:** ისაკსონი, ოესტლუნდი, მელბერგი, ლუჩიჩი, ედმანი, ლინდეროტი (ვილჰელმსონი 66), ალექსანდერსონი, ა. სვენსონი (კალსტრიომი 71), ლიუნგბერგი, მ. იონსენი (ელმანდერი 66), ლარსონი

**მწვრთნელი:** ლარს ლაგერბეკი

**მსაჯი:** მასიმო დე სანტისი (იტალია)

**15 000 მაყურებელი**

**დარიო სრნამ** შვედეთის ნაკრებს მეორე ტაიმში პენალტი გაუტანა. ამ პენალტმა ხორვატებს სამი ქულა და გერმანიის მსოფლიოო ჩემპიონატის საგზური მოუტანა.

განვმარტოთ: ცხრილს თუ ჩახედავთ, არის შანსი, რომ ბოლო ტურში შვედებმა მოიგონ, ხორვატები დამარცხდნენ და ამით ჯგუფში პირველ ადგილზე შვედები გავიდნენ, მაგრამ ყველა ჯგუფის შედარებას თუ გავაკეთებთ, აღმოჩნდება, რომ ხორვეტია საუკეთესო მეორეადგილოსანი იქნება, რაც ასევე უნაღდებს მუნდიალზე მოხვედრას.

საუკეთე მეორეადგილოსნობაში ხორვეტებს ჩეხები ეცილებოდნენ, რომლებიც თავის ჯგუფში ჰოლანდიას მასპინძლობდნენ. როცა ხორვატების თამაში დასრულდა, პრაღაში კიდევ რამდენიმე წუთი იყო დარჩენილი და ზაგრების სტადიონიდან კაციშვილს ფეხი არ მოუცვლია, „ჩეხეთი - ჰოლანდიის მატჩის საბოლოო შედეგს ელოდნენ. ხოლო როცა კომენტატორმა გამოაცხადა, ჩეხეთი დამარცხდაო, წარმოიდგენთ, ხორვატები რამხელა ჟრიამულს ატეხდნენ.



AFP ზაგრებიდან

**ხორვატია — შვედეთი 1:0. ხორვატი დადო პრსო (№9) შვედ ტედი ლუჩიჩს ედავება**

რომ ვთქვათ, მატჩი მომენტებით იყო დახუნძლულიო, ტყუილი გამოგვივა. ხორვატებს ოდენ ორი ნაღდი მომენტი ჰქონდათ, რაც დაგვეთანხმებით, ძალიან ცოტაა. ალბათ ამიტომაც იყო, რომ როცა შვედების კარში პენალტი დაინიშნა, ხორვატიის მწვრთნელმა ზლატკო კრანჩარმა ისე ინერვიულა, სრნას დარტყმას ვერც კი შეხედა — თავი დახრილი ჰქონდა და ყიჟინაზე მიხვდა, რომ გოლი გავიდა. დავძინოთ, რომ პენალტი შვედთა კაპიტნის, ოლოფ მელბერგის ხელით თამაშს მოჰყვა.

ზემოთ ნახსენები მეორე ნაღდი მომენტი კი ივან კლასნიჩმა ვერ გამოიყენა.

შვედებს საამმატჩოდ იუვენტუსელი ზლატან იბრაჰიმოვიჩი აკლდათ და თამაშიც უსახური გამოუვიდათ.

ახლა შვედების შანსებზეც ვთქვათ. თუ მათ ჯგუფში პირველი ადგილი აიღეს, ყველაფერი გასაგებია. მაგრამ შვედებს ბოლო ტურში ისლანდიასთან ფრეც ჰყოფნით და ისინი საუკეთესო მეორეადგილოსან გუნდად შეიქნებიან. არის შანსი, რომ შვედები დამარცხდნენ და მაინც გაინაღდონ მუნდიალზე მოხვედრა. საამისოდ მეზობელ ჯგუფში ჩეხებმა ფინელებს დიდი ანგარიშით ვერ უნდა მოუგონ. ასე რომ, შვედებს სანერვიულოც ბევრი არაფერი აქვთ.

**ბულგარეთი 2:0 უნგრეთი**

**1:0 ბერბატოვი (30), 2:0 ლაზაროვი (55)**

**გაძევება:** ტორგელე (90, უნგრეთი)

**ეს მატჩი** სატურნირო თვალსაზრისით არაფერს წყვეტდა — ორივე გუნდს მუნდიალზე მოხვედრის შანსი აქამდეც გადაწყვეტილი ჰქონდა, თუმცა საიმისოს გრძნობისა და პროფესიონალიზმის გამო თამაში კარგი სანახაობა გამოდგა.

უნგრელებს მესამე წუთზე ჰქონდათ ანგარიშის გახსნის კარგი შანსი, მაგრამ შანდორ ტორგჰელემ, ვინაც უმეთვალყურეოდ დატოვეს მასპინძელთა საჯარიმოში, ბურთი ძელს გაარტყა.

ანგარიში კი ამ მომენტიდან 27 წუთში გაიხსნა. ზდრავკო ლაზაროვის ჩაწოდებულს უნგრელთა გაბორ გიეჰესმა მიმართულება შეუცვალა და დიმიტარ ბერბატოვს მიუგორა. ლევერკუზენელმა კი ზუსტად დაჰკრა და ბულგარეთის ნაკრების ყველა დროის თანაბომბარდირად იქცა. მას 28 საპასუხო გოლი დაუგროვდა, რომელთაგან 12 მსოფლიოს ჩემპიონატების შესარჩევ მატჩებში აქვს გატანილი. აქამდე ბულგარელთა ყველა დროის მთავარმეგოლე ხრისტო ბონევი იყო.

მეორე გოლის მონაწილენიც ლევერკუზენელები იყვნენ — ამჯერად ლაზაროვმა გაიტანა ბერბატოვის პასით.

შანდორ ტორგჰელს კი მეორედაც არ გაუმართლა, თავდასხმის ხიდ ძელს გაარტყა, მეორე მცდელობისას, 67-ე წუთზე, ბურთი ხაზიდან მოახვედრა.

**ირაკლი ნინიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 9 | 7 | 2 | 0 | 21:5 | 23 |
| შვედეთი | 9 | 7 | 0 | 2 | 27:3 | 21 |
| ბულგარეთი | 9 | 4 | 2 | 3 | 16:16 | 14 |
| უნგრეთი | 9 | 4 | 1 | 4 | 13:14 | 13 |
| ისლანდია | 9 | 1 | 1 | 7 | 13:24 | 4 |
| მალტა | 9 | 0 | 2 | 7 | 3:31 | 2 |

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. აფრიკა

**I ჯგუფი**

**კონგო 2:3 ტოგო**

**სენეგალი 3:0 მალი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტოგო | 10 | 7 | 2 | 1 | 20:8 | 23 |
| სენეგალი | 10 | 6 | 3 | 1 | 21:8 | 21 |
| ზამბია | 10 | 6 | 1 | 3 | 16:10 | 19 |
| კონგო | 10 | 3 | 1 | 6 | 10:14 | 10 |
| მალი | 10 | 2 | 2 | 6 | 11:14 | 8 |
| ლიბერია | 10 | 1 | 1 | 8 | 3:27 | 4 |

**II ჯგუფი**

**ს. აფრიკა 2:2 კონგო**

**კაპო ვერდე 0:4 განა**

**უგანდა 2:2 ბურკინა ფასო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| განა | 10 | 6 | 3 | 1 | 17:4 | 21 |
| კონგო | 10 | 4 | 4 | 2 | 14:10 | 16 |
| ს. აფრიკა | 10 | 5 | 1 | 4 | 12:14 | 16 |
| ბურკინა ფასო | 10 | 4 | 1 | 5 | 14:13 | 13 |
| კაპო ვერდე | 10 | 3 | 1 | 6 | 8:15 | 10 |
| უგანდა | 10 | 2 | 2 | 6 | 6:15 | 8 |

**III ჯგუფი**

**კამერუნი 1:1 ეგვიპტე**

**სუდანი 1:3 კოტ დივუარი**

**ბენინი 1:0 ლიბია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოტ დივუარი | 10 | 7 | 1 | 2 | 20:7 | 22 |
| კამერუნი | 10 | 6 | 3 | 1 | 18:10 | 21 |
| ეგვიპტე | 10 | 5 | 2 | 3 | 26:15 | 17 |
| ლიბია | 10 | 3 | 3 | 4 | 8:10 | 12 |
| სუდანი | 10 | 1 | 3 | 6 | 6:22 | 6 |
| ბენინი | 10 | 1 | 2 | 7 | 9:23 | 5 |

**IV ჯგუფი**

**ნიგერია 5:1 ზიმბაბვე**

**რუანდა 0:1 ანგოლა**

**გაბონი 0:0 ალჟირი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანგოლა | 10 | 6 | 3 | 1 | 12:6 | 21 |
| ნიგერია | 10 | 6 | 3 | 1 | 21:7 | 21 |
| ზიმბაბვე | 10 | 4 | 3 | 3 | 13:14 | 15 |
| გაბონი | 10 | 2 | 4 | 4 | 11:13 | 10 |
| ალჟირი | 10 | 1 | 5 | 4 | 8:15 | 8 |
| რუანდა | 10 | 1 | 2 | 7 | 6:16 | 5 |

**V ჯგუფი**

**მალავი 3:0 კენია**

**ბოტსვანა 1:2 გვინეა**

**ტუნისი 2:2 მაროკო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტუნისი | 10 | 6 | 3 | 1 | 25:9 | 21 |
| მაროკო | 10 | 5 | 5 | 0 | 17:7 | 20 |
| გვინეა | 10 | 5 | 2 | 3 | 15:10 | 17 |
| კენია | 10 | 3 | 1 | 6 | 8:17 | 10 |
| ბოტსვანა | 10 | 3 | 0 | 7 | 10:18 | 9 |
| მალავი | 10 | 1 | 3 | 6 | 12:26 | 6 |

## შავი სიურპრიზი

**გასულ უქმეებზე** აფრიკაში 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი დასრულდა. შესაბამისად გაირკვა იმ ხუთივე ნაკრების ვინაობა, რომლებიც „შავ კონტინენტს" მუნდიალზე წარადგენენ. უნდა ითქვას, რომ ამ ხუთი გუნდიდან ოთხის გერმანიაში მოხვედრას ცოტა თუ ელოდა. მუნდიალზე ისტორიაში პირველად ითამაშებენ კოტ დივუარი, ტოგო და განა. ანგოლამ კი, ყველასთვის გასაკვირად, ჯგუფში ნიგერიას აჯობა. ხოლო მეხუთე ჯგუფში ტუნისმა იყოჩაღა. თუმც აჯობებს, ყველაფერს ქრონოლოგიურად მივყვეთ...

ტოგოს ნაკრებმა მთელი შესარჩევი ეტაპი შესაშური სტაბილურობით ჩაატარა, მაგრამ ბოლოს, როგორც ჩანს, ნერვიულობამ და გამოუცდელობამ მაინც იჩინა თავი. გადამწყვეტ მატჩში ჯგუფის აუტსაიდერ მალისთან ტოგოელები 2:1-ს აგებდნენ, მაგრამ ვითარება გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა გუგბადიამ გამოასწორა და ორი გოლი შეაგდო, რასაც უზომო სიხარული და სახალხო ზეიმი მოჰყვა. პარალელურად კი სენეგალმა მალი გაანადგურა, მაგრამ ამას უკვე არარანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

განის ნაკრები დიდი ხანია, წვალობს მუნდიალზე მოხვედრისთვის და როგორც იქნა, საწადელს მიაღწია. ამაში განელებს სამხრეთ აფრიკის კრიზისიც დაეხმარა. თუმცა რატომირ დუიკოვიჩის მშვენიერ გუნდს გარჯა არ უნდა დავუკარგოთ. განელებმა მართლაც დაიმსახურეს ჯგუფში პირველი ადგილი და ეს ბოლო ტურში კაპო ვერდეს განადგურებითაც დაამტკიცეს.

გერმანიაში ვერ ვიხილავთ კამერუნს, რაც სამუელ ეტოომ და კომპანიამ საკუთარ თავს უნდა დააბრალონ. „სპილოები" დუალას გოლით მე-80 წუთამდე უგებდნენ ეგვიპტეს, მაგრამ უნიათო ბურთაობისთვის დაისაჯნენ და სტუმარმა შავკიმ ანგარიში გაათანაბრა. კოტდივუარელებიც სწორედ ამას ელოდნენ, რომლებმაც აკალეს, დროგბასა და დინდანეს გოლებით საქმე უპრობლემოდ მოუმთავრეს სუდანს. განისა არ იყოს, კოტ დივუარის სიმპათიური ნაკრებიც დიდხანს წვალობდა და ელოდა მუნდიალის საგზურს.

ანგოლას ნიგერიასთან ურთიერთშეხვედრებში უკეთესი მაჩვენებელი უმაგრებდა ზურგს და ჯგუფის გამოკვეთილ აუტსაიდერ რუანდესთან გასვლით მატჩში უბრალო გამარჯვება სჭირდებოდა. სტუმრებმა თავიანთი ქომაგები გვარიანად ანერვიულეს, მაგრამ 58-ე წუთზე მათმა კაპიტანმა აკვამ სანუკვარი გოლი მაინც შეაგდო. „არწივებმა" კი მშვენიერი სპექტაკლი დადგეს და ზიმბაბვე გაანადგურეს, მაგრამ...



AFP ტუნისიდან

**როჟე ლემერის (მარჯვნივ) ტუნისი მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიყვანა**

ბოლოს მეხუთე ჯგუფიც ვახსენოთ, სადაც არანაკლებ დრამატული ბრძოლა წარიმართა. გადამწყვეტი მატჩი სწორედ ბოლო ტურში შედგა. მაროკო ტუნისს ეწვია და სტუმრებს მხოლოდ სამი ქულა აძლევდათ ხელს. მათაც ცდა არ დააკლეს და ორჯერ იგებდნენ კიდეც, მაგრამ მათმა კაპიტანმა ტალალ ელ-კარკურიმ ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა და ყველაფერი წყალში ჩაყარა. როჟე ლემერის შეგირდებმა კი თამაშის შემდგომ გვარიანად მილხინეს.

**კოკი კანდელაკი**

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა

# ავსტრალიის საბედო ბოლო ტურში გაირკვევა



ვენესუელა — პარაგვაი 0:1. ზეიმობს პარაგვაელი ვალდესი

**XVII ტური**

**კოლუმბია 1:1 ჩილე**
1:0 რეი (25), 1:1 როხასი (63)

**ვენესუელა 0:1 პარაგვაი**
0:1 ვალდესი (65)

**ეკვადორი 0:0 ურუგვაი**

**ბოლივია — ბრაზილია და არგენტინა — პერუ**
*გუშინ გვიან დამთავრდა*

**როგორც** მოსალოდნელი იყო, სამხრეთ ამერიკაში პირველი ოთხეულის ვინაობა გაირკვა და საკითხავი ისღა დარჩა, ვის შეხვდება ავსტრალია კიდევ ერთი საგზურისთვის საბრძოლველად. კანდიდატი სამია — ურუგვაი, ჩილე და კოლუმბია. რაც შეეხება უკვე გასულ ნაკრებებს, შაბათ ღამეს არგენტინასა და ბრაზილიას ეკვადორი და პარაგვაიც შეუერთდნენ.

მოგეხსენებათ, ეკვადორს ურუგვაისთან საშინაო მატჩში ქულაც ჰყოფნიდა, ხოლო სტუმრებს წესით მოსაგებად უნდა ეთამაშათ. საბოლოოდ ასეც მოხდა, მაგრამ ურუგვაიმ ფრთხილი მეტოქე მაინც ვერ დაჯაბნა და საბოლოო ჯამში ქულითაც კმაყოფილი უნდა იყოს. თანაც კოლუმბიამ და ჩილემ მის წისქვილზე დაასხეს წყალი. კიტოში კი მილიონობით ქომაგმა გაიხარა — ეკვადორი ისტორიაში მეორედ მოხვდა მუნდიალზე.

„დიდი მადლობა ჩემს ფეხბურთელებს და ღმერთს, რომ სასურველ შედეგს მივაღწიეთ და ეკვადორელი ხალხი გავაბედნიერეთ" — თქვა მასპინძელთა თავკაცმა ლუის ფერნანდო სუარესმა.

ფრე არც კოლუმბიას აძლევდა ხელს და არც ჩილეს, მაგრამ, როგორც ასეთ შემთხვევაში ხშირად ხდება ხოლმე, მატჩი ფრედ დასრულდა. საკუთარი კედლებით შეგულიანებულმა კოლუმბიამ ანგარიში ფაქტობრივად დებიუტშვე კი გახსნა, მაგრამ ჩილელებმა მეტოქეს არაფერი დაუთმეს და 63-ე წუთზე დავიდ პიზაროს ჯარიმიდან ჩაწოდებულ ბურთს რიკარდო როხასის ზუსტი თავური მოჰყვა. დარჩენილ დროშიც დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა, გუნდებმა რამდენიმე მწვავე მომენტი გაცვალეს და საბოლოოდ შეხვედრა ლოგიკური შედეგით დასრულდა.

მეხუთე ადგილოსანის ბედს ბოლო ტური გადაწყვეტს. მდევრებზე ერთი ქულით წინ მყოფი ურუგვაი არგენტინას უმასპინძლებს. ჩილე ეკვადორს მიიღებს, ხოლო კოლუმბიას ასევე უკვე უმოტივაციოდ დარჩენილ პარაგვაისთან მოუწევს ჩასვლა.

დასასრულ, ვენესუელასა და პარაგვაის მატჩზეც ვთქვათ ორი სიტყვა. სტუმრებმა შეხვედრის ერთადერთი გოლი 65-ე წუთზე კონტრშეტევის წყალობით შეაგდეს. თავი „ვერდერის" ფორვარდმა ნელსონ ვალდესმა გამოიჩინა და საკუთარი ქვეყანა მუნდიალზე გაიყვანა. მასპინძლებს კი გამარჯვების შემთხვევაში მეხუთე ადგილის ჩაბღაუჭების შანსი რჩებოდათ, მაგრამ...

ნელსონ ვალდესი: „არ ვიცი რა ვთქვა, ძალიან გახარებული ვარ. ცხადია, მნიშვნელოვანი გოლის შეგდებაც მახარებს, მაგრამ მთავარია, მსოფლიოს ჩემპიონატზე გავედით".

**ძოძი ძანდელაკი**



AFP კოლაჟი
ეკვადორი — ურუგვაი 0:0. რაგბია თუ ფეხბურთი?

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 16 | 9 | 4 | 3 | 27:16 | 31 |
| ბრაზილია | 16 | 8 | 6 | 2 | 31:16 | 30 |
| პარაგვაი | 17 | 8 | 4 | 5 | 23:22 | 28 |
| ეკვადორი | 17 | 8 | 3 | 6 | 23:19 | 27 |
| ურუგვაი | 17 | 5 | 7 | 5 | 22:28 | 22 |
| კოლუმბია | 17 | 5 | 5 | 6 | 23:16 | 21 |
| ჩილე | 17 | 5 | 6 | 6 | 18:22 | 21 |
| ვენესუელა | 17 | 5 | 3 | 9 | 20:25 | 18 |
| პერუ | 16 | 3 | 6 | 7 | 16:25 | 15 |
| ბოლივია | 16 | 4 | 1 | 11 | 18:32 | 13 |

## ამხანაგური მატჩი

# ბუნდესთურქებმა გერმანიას მოუგეს



AFP სტამბოლიდან
თურქეთი — გერმანია 2:1. თურქები ნურის (№20) გოლს ზეიმობენ

**17 წლის** ნური რაჰინმა ბოლოსწინა წუთზე გერმანიას მეორე გაუტანა და ფანები გადარია. ოსმალებმა იურგენ კლინსმანის გუნდი ბუნდესლიგაში მოთამაშე თურქების გოლებით დაამარცხეს.

კაიზერსლაუტერნელმა ჰალილ ალტინტოპმა პირველ ტაიმში დააწინაურა მასპინძლები. ბაშთურქის დარტყმული ძელმა უკუაგდო და ალტინტოპმა საგოლედ დაამატა, დორტმუნდის „ბორუსიას" ფეხბურთელმა საჰინმა კი ოლივერ კანის მოგერიებული ბურთი შააბრუნა კარში.

„ჩვენ გვსურს, რომ გერმანელებს მომავალ წელს გერმანიაშიც შევხვდეთ" — თქვა თურქთა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევენტ ბიჩაქჩიმ, რომელიც ნამატჩევს დანიისგან ბერძნების ძლევით ხარობდა.

ოლივერ ნოივილის ერთი საპასუხო გოლით ოდნავ გუნებაგამოკეთებულმა იურგენ კლინსმანმა განაცხადა: „პირველ ტაიმში ძალიან ცუდად ვითამაშეთ. საგოლე მომენტები რომ ვერ გამოვიყენეთ, ძალიან გავბრაზდი, მაგრამ შესვენების შემდეგ გუნდმა მოუმატა და თამაშიც წაგვივიდა. ჯერ ისევ შენების პროცესში ვართ, რომელიც მომავალი წლის მაისში უნდა დავასრულოთ".

**ვაჟა ხუციშვილი**

**თურქეთი 2:1 გერმანია**
1:0 ჰალილ ალტინტოპი (25), 2:0 ნური (89), 2:1 ნოივილი (90)
**თურქეთი:** ვოლკანი, ჰამიტ ალტინტოპი, ალფაი, იბრაჰიმ ტორამანი, უმითი (იბრაჰიმ აკინი 78), სელჩუკი (ნური 86), ჰუსეინი, ბაშთურქი (ერგიუნი 46), ნიჰათი (სერჰათი 83), თუნერი (ნეჯათი 67), ჰალილ ალტინტოპი (სერკანი 46)
**მწვრთნელი:** ფათიჰ თერიმი
**გერმანია:** კანი, ოვომოიელა, სინკევიჩი, მერტესაკერი, იანსენი, ფრინგსი (დაისლერი 46), ბოროვსკი (ჰანკე 73), შნაიდერი, შვაინშტაიგერი (ჰიცლშპერგერი 81), კურანი (ნოივილი 46), პოდოლსკი
**მწვრთნელი:** იურგენ კლინსმანი



# სკიბე ფიოლერს აეკიდა

**ლევერკუზენის** „ბაიერის" მწვრთნელად მიხაელ სკიბე დანიშნეს, რომელიც გერმანიის ნაკრებში ოთხი წელი რუდი ფიოლერის თანაშემწე იყო.

ერთი თვის წინ გუნდიდან კლაუს აუგენტალერის წასვლის შემდეგ „ბაიერი" დროებით ფიოლერმა ჩაიბარა, ახლა კი ნაცადი მეგობარი მიიყვანა, ადგილი დაუთმო და ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

ლევერკუზენელთა სპორტულ დირექტორ რუდი ფიოლერს მწვრთნელად მათიას ზამერის მიყვანა სურდა, მაგრამ მან იუარა.

მიხაელ სკიბე ევრო 2004-ის მერე გერმანიის 20-წლამდელთა ნაკრების თავკაცი გახდა და ერთი წელი ახალგაზრდებში გაატარა, ხოლო 1998-დან 2000-მდე დორტმუნდის „ბორუსიას" წვრთნიდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატი (U-21)

**I ჯგუფი**
**ჩეხეთი 2:4 ჰოლანდია**
**ფინეთი 0:1 რუმინეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 9 | 6 | 2 | 1 | 17:7 | 20 |
| რუმინეთი | 10 | 6 | 1 | 3 | 17:8 | 19 |
| ჩეხეთი | 9 | 5 | 3 | 1 | 23:7 | 18 |
| მაკედონია | 9 | 2 | 3 | 4 | 9:14 | 9 |
| ფინეთი | 9 | 2 | 1 | 6 | 6:13 | 7 |
| სომხეთი | 10 | 1 | 2 | 7 | 2:25 | 5 |

**III ჯგუფი**
**რუსეთი 3:0 ლუქსემბურგი**
**სლოვაკეთი 2:1 ესტონეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 9 | 9 | 0 | 0 | 26:3 | 27 |
| რუსეთი | 9 | 6 | 1 | 2 | 24:5 | 19 |
| სლოვაკეთი | 9 | 5 | 1 | 3 | 11:9 | 16 |
| ლატვია | 9 | 3 | 3 | 3 | 10:13 | 12 |
| ესტონეთი | 9 | 0 | 2 | 7 | 3:23 | 2 |
| ლუქსემბურგი | 9 | 0 | 1 | 8 | 3:24 | 1 |

**IV ჯგუფი**
**კვიპროსი 1:1 ირლანდია**
**შვეიცარია 0:3 საფრანგეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 7 | 5 | 1 | 1 | 11:5 | 16 |
| ისრაელი | 8 | 4 | 3 | 1 | 11:7 | 15 |
| შვეიცარია | 7 | 3 | 3 | 1 | 14:8 | 12 |
| ირლანდია | 7 | 1 | 2 | 4 | 10:13 | 5 |
| კვიპროსი | 7 | 0 | 1 | 6 | 2:15 | 1 |

**V ჯგუფი**
**ნორვეგია 1:2 მოლდოვა**
**შოტლანდია 2:3 ბელარუსი**
**იტალია 1:0 სლოვენია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 9 | 7 | 1 | 1 | 15:3 | 22 |
| ბელარუსი | 9 | 4 | 1 | 4 | 18:16 | 13 |
| სლოვენია | 9 | 3 | 3 | 3 | 10:13 | 12 |
| ნორვეგია | 9 | 3 | 2 | 4 | 11:11 | 11 |
| მოლდოვა | 9 | 3 | 2 | 4 | 8:11 | 11 |
| შოტლანდია | 9 | 1 | 3 | 5 | 6:14 | 6 |

**VI ჯგუფი**
**გერმანია 4:0 უელსი**
**ინგლისი 1:2 ავსტრია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 9 | 6 | 3 | 0 | 21:5 | 21 |
| ინგლისი | 9 | 5 | 3 | 1 | 17:6 | 18 |
| პოლონეთი | 9 | 3 | 4 | 2 | 17:14 | 13 |
| ავსტრია | 9 | 3 | 2 | 4 | 9:11 | 11 |
| უელსი | 9 | 2 | 1 | 6 | 6:21 | 7 |
| აზერბაიჯანი | 9 | 0 | 3 | 6 | 1:14 | 3 |

**VII ჯგუფი**
**ბოსნია 5:1 სან მარინო**
**ლიტვა 0:2 სერბეთი**
**ბელგია 1:0 ესპანეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელგია | 9 | 6 | 3 | 0 | 23:5 | 21 |
| სერბეთი | 9 | 6 | 1 | 2 | 24:10 | 19 |
| ესპანეთი | 9 | 5 | 2 | 2 | 27:7 | 17 |
| ბოსნია | 9 | 3 | 1 | 5 | 16:15 | 10 |
| ლიტვა | 9 | 3 | 1 | 5 | 8:14 | 10 |
| სან მარინო | 9 | 0 | 0 | 9 | 3:50 | 0 |

**VIII ჯგუფი**
**ბულგარეთი 1:2 უნგრეთი**
**ხორვატია 1:0 შვედეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 9 | 8 | 0 | 1 | 12:4 | 24 |
| შვედეთი | 9 | 6 | 0 | 3 | 15:8 | 18 |
| უნგრეთი | 9 | 6 | 0 | 3 | 10:5 | 18 |
| ისლანდია | 9 | 3 | 1 | 5 | 11:10 | 10 |
| ბულგარეთი | 9 | 2 | 0 | 7 | 8:16 | 6 |
| მალტა | 9 | 1 | 1 | 7 | 2:15 | 4 |

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. კონკაკაფი

**IX ტური**
**კოსტა რიკა 3:0 აშშ**
**მექსიკა 5:2 გვატემალა**
**პანამა 0:1 ტრინიდადი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მექსიკა | 9 | 7 | 1 | 1 | 21:7 | 22 |
| აშშ | 9 | 6 | 1 | 2 | 14:6 | 19 |
| კოსტა რიკა | 9 | 5 | 1 | 3 | 14:11 | 16 |
| ტრინიდადი | 9 | 3 | 1 | 5 | 8:14 | 10 |
| გვატემალა | 9 | 2 | 2 | 5 | 13:17 | 8 |
| პანამა | 9 | 0 | 2 | 7 | 4:19 | 2 |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

# სარბიელი & კროკო

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 15:45 | 1 | ფულჰემი-ნიუკასლი | 2.70 | 3.30 | 2.40 | 1.48 | 1.27 | 1.38 |
| 18:00 | 2 | ჩელსი-ბოლტონი | 1.25 | 4.70 | 12.00 | 1.00 | 1.13 | 3.37 |
| 18:00 | 3 | ვესტ ბრომვიჩი-არსენალი | 5.30 | 3.60 | 1.60 | 2.14 | 1.22 | 1.10 |
| 18:00 | 4 | ლივერპული-ბლეკბერნი | 1.70 | 3.30 | 5.00 | 1.12 | 1.26 | 1.98 |
| 18:00 | 5 | ტოტენჰემი-ევერტონი | 1.65 | 3.40 | 5.30 | 1.11 | 1.25 | 2.07 |
| 18:00 | 6 | სანდერლენდი-მანჩესტერი | 5.50 | 3.50 | 1.60 | 2.13 | 1.23 | 1.09 |
| 20:15 | 7 | მიდლსბრო-პორტსმუთი | 1.70 | 3.30 | 5.00 | 1.12 | 1.26 | 1.98 |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 15:00 | 8 | ბირმინგემი-ასტონ ვილა | 2.40 | 3.00 | 2.90 | 1.33 | 1.31 | 1.47 |
| 19:00 | 9 | სიტი-ვესტ ჰემი | 1.90 | 3.30 | 3.80 | 1.20 | 1.26 | 1.76 |
| | | **17 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:00 | 10 | ჩარლტონი-უიგანი | 1.70 | 3.30 | 5.00 | 1.12 | 1.26 | 1.98 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **10 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 23 | ბრენტფორდი-ჰადერსფილდი | 2.35 | 3.20 | 2.60 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:30 | 80 | ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 1.50 | 3.80 | 6.00 | 1.07 | 1.20 | 2.32 |
| 17:30 | 81 | კაიზერსლაუტერნი-დორტმუნდი | 2.55 | 3.30 | 2.50 | 1.43 | 1.26 | 1.42 |
| 17:30 | 82 | არმინია-ჰერტა | 2.95 | 3.30 | 2.20 | 1.55 | 1.26 | 1.32 |
| 17:30 | 83 | მაინცი-ლევერკუზენი | 2.80 | 3.30 | 2.30 | 1.51 | 1.26 | 1.35 |
| 17:30 | 84 | შალკე-ბაიერნი | 2.45 | 3.30 | 2.60 | 1.40 | 1.26 | 1.45 |
| 17:30 | 85 | შტუტგარტი-მიონხენგლადბახი | 1.75 | 3.50 | 4.20 | 1.16 | 1.23 | 1.90 |
| 17:30 | 86 | ვერდერი-ნიურნბერგი | 1.35 | 4.50 | 8.00 | 1.03 | 1.15 | 2.88 |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:30 | 87 | დუისბურგი-აინტრახტი | 1.95 | 3.30 | 3.60 | 1.22 | 1.26 | 1.72 |
| 19:30 | 88 | კიოლნი-ჰანოვერი | 2.00 | 3.30 | 3.40 | 1.24 | 1.25 | 1.67 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:30 | 116 | ადმირა-ტიროლი | 2.10 | 3.10 | 3.10 | 1.25 | 1.25 | 1.54 |
| 17:30 | 117 | მატერსბურგი-გრაცერი | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 17:30 | 118 | რაპიდი-ზალცბურგი | 2.20 | 3.10 | 2.90 | 1.28 | 1.25 | 1.49 |
| 17:30 | 119 | რიდი-ავსტრია | 3.60 | 3.20 | 1.90 | 1.69 | 1.24 | 1.19 |
| 17:30 | 120 | შტურმი-პაშინგი | 2.40 | 3.10 | 2.65 | 1.35 | 1.25 | 1.42 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:00 | 140 | სიენა-უდინეზე | 2.55 | 3.00 | 2.75 | 1.37 | 1.32 | 1.43 |
| 22:30 | 141 | იუვენტუსი-მესინა | 1.20 | 5.30 | 13.00 | 1.00 | 1.09 | 3.76 |
| 17:00 | 142 | ლაციო-ფიორენტინა | 2.45 | 3.00 | 2.80 | 1.34 | 1.30 | 1.44 |
| 17:00 | 143 | პალერმო-კიევო | 1.70 | 3.10 | 5.50 | 1.09 | 1.29 | 1.98 |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 144 | პარმა-ტრევიზო | 1.65 | 3.20 | 5.80 | 1.08 | 1.28 | 2.06 |
| 17:00 | 145 | რეჯინა-ლეჩე | 2.25 | 3.00 | 3.20 | 1.28 | 1.32 | 1.54 |
| 17:00 | 146 | ასკოლი-სამპდორია | 3.30 | 3.00 | 2.20 | 1.57 | 1.32 | 1.26 |
| 17:00 | 147 | ემპოლი-რომა | 3.60 | 3.10 | 2.05 | 1.66 | 1.30 | 1.23 |
| 17:00 | 148 | ინტერი-ლივორნო | 1.35 | 4.00 | 10.00 | 1.00 | 1.18 | 2.85 |
| 22:30 | 149 | კალიარი-მილანი | 6.00 | 3.30 | 1.60 | 2.12 | 1.26 | 1.07 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **10 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 150 | ჩეზენა-ბარი | 1.75 | 3.00 | 4.80 | 1.10 | 1.28 | 1.84 |
| 22:45 | 151 | პიაჩენცა-რიმინი | 1.80 | 2.90 | 4.65 | 1.11 | 1.29 | 1.78 |
| | | **იტალია. სერია C1/B** | | | | | | |
| | | **10 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 172 | პისტოიეზე-ავერსანო | 2.00 | 2.70 | 4.00 | 1.14 | 1.33 | 1.61 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **10 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:30 | 213 | ლორიანი-შატორუ | 2.05 | 2.80 | 3.60 | 1.18 | 1.30 | 1.57 |
| | | **დანია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 352 | ესბიერგი-ოლბორგი | 2.45 | 3.20 | 2.70 | 1.38 | 1.28 | 1.46 |
| 17:00 | 353 | ჰორსენსი-ნორდსიელანდი | 3.00 | 3.20 | 2.25 | 1.54 | 1.28 | 1.32 |
| 17:00 | 354 | მიდტიულანდი-ვიბორგი | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 17:00 | 355 | ოდენსე-ორჰუსი | 1.75 | 3.40 | 4.50 | 1.15 | 1.25 | 1.93 |
| 17:00 | 356 | სილკებორგი-კოპენჰაგენი | 5.00 | 3.50 | 1.65 | 2.05 | 1.24 | 1.12 |
| 17:00 | 357 | სონდერიისკე-ბრონდბი | 5.80 | 3.70 | 1.55 | 2.25 | 1.22 | 1.09 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 366 | სტარტი-ოლესუნი | 1.45 | 4.00 | 6.50 | 1.06 | 1.18 | 2.47 |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:00 | 367 | ვიკინგი-ვალერენგა | 2.45 | 3.20 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |
| 20:00 | 368 | ლინი-ტრომსო | 1.90 | 3.40 | 3.70 | 1.21 | 1.25 | 1.77 |
| 20:00 | 369 | ოდ გრენლანდი-ჰამარი | 2.00 | 3.40 | 3.30 | 1.25 | 1.24 | 1.67 |
| 20:00 | 370 | ფრედრიკსტადი-მოლდე | 2.00 | 3.40 | 3.30 | 1.25 | 1.24 | 1.67 |
| 22:05 | 371 | როზენბორგი-ბრანი | 1.65 | 3.60 | 4.80 | 1.13 | 1.22 | 2.05 |
| | | **17 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:00 | 372 | ლილესტრომი-ბოდოე გლიმტი | 1.70 | 3.60 | 4.50 | 1.15 | 1.23 | 2.00 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **10 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:00 | 388 | ვესბი-იორებრო | 2.30 | 3.30 | 2.60 | 1.35 | 1.22 | 1.45 |
| 21:05 | 389 | ნორჩიოპინგი-ატვიდაბერგი | 1.70 | 3.70 | 3.80 | 1.16 | 1.17 | 1.87 |
| | | **ბრაზილია** | | | | | | |
| | | **10 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:45 | 446 | პაისანდუ-კურიტიბა | 2.15 | 3.30 | 2.85 | 1.30 | 1.22 | 1.52 |
| | | **11 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:45 | 447 | ფლუმინენსე-ატლეტიკო მგ | 1.80 | 3.30 | 3.60 | 1.16 | 1.20 | 1.72 |
| 23:45 | 448 | სან კაეტანო-ინტერნასიონალი | 2.60 | 3.30 | 2.35 | 1.45 | 1.23 | 1.37 |
| 23:45 | 449 | სან პაულუ-პონტე პრეტა | 1.45 | 3.90 | 5.30 | 1.05 | 1.13 | 2.24 |
| 23:45 | 450 | ატლეტიკო პრ-ბრაზილიენსე | 1.40 | 4.00 | 6.00 | 1.03 | 1.13 | 2.40 |
| | | **მს. შესარჩევი მატჩები** | | | | | | |
| | | **12 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 482 | ანდორა-სომხეთი | 4.00 | 3.50 | 1.75 | 1.86 | 1.21 | 1.16 |
| 19:30 | 483 | ფინეთი-ჩეხეთი | 5.80 | 3.70 | 1.50 | 2.25 | 1.19 | 1.06 |
| 20:00 | 485 | ალბანეთი-თურქეთი | 8.00 | 4.00 | 1.35 | 2.66 | 1.15 | 1.00 |
| 20:00 | 486 | ყაზახეთი-დანია | 15.00 | 7.00 | 1.10 | 4.77 | 1.02 | 1.00 |
| 21:00 | 487 | მალტა-ბულგარეთი | 10.00 | 5.00 | 1.20 | 3.33 | 1.07 | 1.00 |
| 21:30 | 488 | შვედეთი-ისლანდია | 1.10 | 7.00 | 15.00 | 1.00 | 1.02 | 4.77 |
| 21:30 | 489 | უნგრეთი-ხორვატია | 3.50 | 3.10 | 2.00 | 1.64 | 1.27 | 1.21 |
| 21:30 | 490 | ჰოლანდია-მაკედონია | 1.10 | 6.50 | 15.00 | 1.00 | 1.02 | 4.53 |
| 22:15 | 491 | ლუქსემბურგი-ესტონეთი | 12.00 | 5.00 | 1.20 | 3.52 | 1.09 | 1.00 |
| 22:30 | 492 | პორტუგალია-ლატვია | 1.20 | 5.50 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.54 |
| 22:30 | 493 | სლოვაკეთი-რუსეთი | 2.70 | 3.20 | 2.35 | 1.46 | 1.25 | 1.35 |
| 22:30 | 494 | იტალია-მოლდოვა | 1.10 | 7.00 | 15.00 | 1.00 | 1.02 | 3.77 |
| 22:30 | 495 | სლოვენია-შოტლანდია | 1.80 | 3.50 | 3.80 | 1.18 | 1.22 | 1.82 |
| 22:30 | 496 | ბელორუსი-ნორვეგია | 2.60 | 3.20 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| 22:30 | 497 | სერბეთი-ბოსნია | 1.45 | 3.60 | 7.00 | 1.03 | 1.20 | 2.37 |
| 22:30 | 498 | ლიტვა-ბელგია | 2.65 | 3.20 | 2.35 | 1.44 | 1.24 | 1.35 |
| 22:30 | 499 | სან მარინო-ესპანეთი | 30.00 | 9.00 | 1.01 | 6.92 | 1.00 | 1.00 |
| 22:30 | 500 | ავსტრია-ჩრდ. ირლანდია | 1.45 | 3.80 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.32 |
| 22:45 | 501 | უელსი-აზერბაიჯანი | 1.20 | 5.20 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.62 |
| 22:45 | 502 | ინგლისი-პოლონეთი | 1.50 | 3.70 | 5.80 | 1.06 | 1.19 | 2.25 |
| 22:45 | 503 | საფრანგეთი-კვიპროსი | 1.02 | 9.00 | 30.00 | 1.00 | 1.00 | 6.92 |
| 22:45 | 504 | ირლანდია-შვეიცარია | 1.80 | 3.40 | 4.00 | 1.17 | 1.24 | 1.83 |
| | | **ევ. შესარჩევი მატჩები(21)** | | | | | | |
| | | **11 ოქტომბერი** | | | | | | |
| 12:00 | 506 | ყაზახეთი(21)-დანია(21) | 8.00 | 4.50 | 1.30 | 2.88 | 1.11 | 1.00 |
| 16:30 | 507 | ალბანეთი(21)-თურქეთი(21) | 6.50 | 3.70 | 1.45 | 2.35 | 1.18 | 1.03 |
| 17:00 | 509 | სერბეთი(21)-ბოსნია(21) | 1.30 | 4.50 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.88 |
| 17:00 | 510 | სან მარინო(21)-ესპანეთი(21) | 25.00 | 9.00 | 1.02 | 6.61 | 1.00 | 1.00 |
| 17:00 | 511 | ლიტვა(21)-ბელგია(21) | 4.20 | 3.20 | 1.75 | 1.81 | 1.23 | 1.13 |
| 19:00 | 512 | ფინეთი(21)-ჩეხეთი(21) | 6.50 | 3.80 | 1.40 | 2.39 | 1.15 | 1.02 |
| 20:00 | 513 | იტალია(21)-მოლდოვა(21) | 1.15 | 5.50 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 3.77 |
| 20:00 | 514 | ბელორუსი(21)-ნორვეგია(21) | 2.00 | 3.70 | 2.75 | 1.29 | 1.15 | 1.57 |
| 20:00 | 515 | სლოვენია(21)-შოტლანდია(21) | 1.60 | 3.70 | 4.30 | 1.11 | 1.16 | 1.98 |
| 20:30 | 516 | უნგრეთი(21)-ხორვატია(21) | 2.55 | 3.50 | 2.20 | 1.47 | 1.18 | 1.35 |
| 20:30 | 517 | შვედეთი(21)-ისლანდია(21) | 1.25 | 4.80 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 3.06 |
| 21:00 | 518 | მალტა(21)-ბულგარეთი(21) | 5.00 | 3.40 | 1.60 | 2.02 | 1.21 | 1.08 |
| 21:30 | 519 | ჰოლანდია(21)-მაკედონია(21) | 1.15 | 5.50 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 3.77 |
| 21:30 | 520 | ლუქსემბურგი(21)-ესტონეთი(21) | 6.00 | 3.70 | 1.45 | 2.28 | 1.16 | 1.02 |
| 22:15 | 521 | ავსტრია(21)-გერმანია(21) | 4.50 | 3.30 | 1.70 | 1.90 | 1.23 | 1.12 |
| 22:45 | 522 | საფრანგეთი(21)-კვიპროსი(21) | 1.02 | 9.00 | 25.00 | 1.00 | 1.00 | 6.61 |
| 22:45 | 523 | ირლანდია(21)-შვეიცარია(21) | 2.90 | 3.50 | 2.00 | 1.58 | 1.18 | 1.27 |
| 22:45 | 524 | უელსი(21)-აზერბაიჯანი(21) | 1.20 | 5.30 | 9.50 | 1.00 | 1.06 | 3.40 |
| 23:00 | 525 | ინგლისი(21)-პოლონეთი(21) | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 23:45 | 526 | პორტუგალია(21)-ლატვია(21) | 1.10 | 6.50 | 14.00 | 1.00 | 1.01 | 4.43 |
| | | **12 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 527 | სლოვაკეთი(21)-რუსეთი(21) | 2.80 | 3.20 | 2.20 | 1.49 | 1.23 | 1.30 |
| | | **ფინეთი. თასი** | | | | | | |
| | | **10 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:00 | 528 | მიუპა-ალიანსი | 1.40 | 3.80 | 6.30 | 1.02 | 1.14 | 2.37 |
| | | **ჰოკეი. NHL** | | | | | | |
| | | **10 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:00 | 602 | ვაშინგტონი-რეინჯერსი | 2.40 | 4.00 | 2.00 | 1.50 | 1.09 | 1.33 |
| 22:00 | 603 | აილენდერსი-ფლორიდა | 2.00 | 4.00 | 2.40 | 1.33 | 1.09 | 1.50 |
| 23:45 | 604 | ბუფალო-პიტსბურგი | 2.10 | 4.00 | 2.15 | 1.37 | 1.06 | 1.39 |
| 23:45 | 605 | ოტავა-ტორონტო | 1.95 | 4.00 | 2.30 | 1.31 | 1.05 | 1.46 |
| 23:45 | 606 | ტამპა ბეი-ბოსტონი | 2.00 | 4.00 | 2.20 | 1.33 | 1.04 | 1.41 |
| 23:45 | 607 | კოლორადო-კალგარი | 1.95 | 4.00 | 2.40 | 1.31 | 1.07 | 1.50 |
| 23:45 | 608 | ანაჰაიმი-ედმონტონი | 2.05 | 4.00 | 2.30 | 1.35 | 1.08 | 1.36 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **10 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:00 | 648 | ლეკსანდი-ტიმრუ | 2.10 | 4.00 | 2.20 | 1.37 | 1.07 | 1.41 |
| 21:00 | 649 | მორა-მოდო | 2.05 | 4.00 | 2.20 | 1.35 | 1.06 | 1.41 |
| 21:00 | 650 | ბრიუნესი-ფრიოლუნდა | 2.65 | 4.00 | 1.80 | 1.59 | 1.07 | 1.24 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# საქართველომ ორი ოქრო აწონა



არსენ კასაბიევმა მსოფლიოს ოქროს ევროპისაც მიამატა

გურამ [illegible] ფოტო

**გუშინ** სლოვაკეთის ქალაქ ტრენჩინში დასრულდა ახალგაზრდა ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატი. შიდაკაციანმა საქართველოს ნაკრებმა მასზე ორი მედალი მოიპოვა, ორივე ოქროსი. პირველად ჩემპიონი 56 კილოგრამიანი ზვიად სამუკაშვილი გახდა. ატაცისა და აკვრის ჯამში ზვიადმა 250 (108+142) კილოგრამი დაძლია და და სამი კილოთი აჯობა მეორე ადგილზე გასულს.

სამუკაშვილი ფიცარნაგზე ქართველთაგან პირველი გავიდა. შემდეგ რაულ ცირეკიძემ (77კგ) და თემურ ჩხეიძემაც (85კგ) სცადეს ბედი, თუმცა საპრიზო ადგილების გარეშე დარჩნენ. ცირეკიძემ ჯერ კიდევ აკვრის დაწყებამდე დაკარგა მედლის შანსი. ატაცში სამივე ცდა უშედეგო გამოუვიდა, ხოლო ჩხეიძემ 140 კილოგრამიანი შტანგა აიტაცა, 168-იანი აკრა და მეათე შედეგი აჩვენა.

საქართველოს მეორე ოქრო ახალგაზრდებში წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის მომგებმა, ცხინვალელმა არსენ კასაბიევმა (94კგ) მოუტანა. მისგან ჩემპიონობას არა მარტო ქართველები, უცხოელი სპეციალისტებიც ელოდნენ, თუმცა ატაცის შემდეგ ალბათ ზოგიერთმა აზრიც შეიცვალა. კასაბიევმა მხოლოდ პირველი ცდა გამოიყენა, 165 კგ აიტაცა და ბელარუს არამნაუს 7 კილოთი ჩამორჩა. ჩამორჩენა აკვრის მეორე ცდაზევე აღმოფხვრა 210-კილოგრამიანი შტანგით. მერე 217 შეუკვეთა, ვერ აწია, თუმცა საჩემპიონო წელი ვერც ამან შეუშალა. საბოლოოდ ქართველმა და ბელარუსმა თანაბარი წონები 375-375 კილოგრამი დააგროვეს, პირადი წონით კი ოქრო არსენს დარჩა.

ამავე წონაში საკმაოდ კარგად გამოვიდა კიდევ ერთი ქართველი თემურ გოგია. მან 345 კგ (157+188) დაძლია და მეხუთე ადგილზე გავიდა.

ორი ძალოსანი გვყავდა 105 კგ წონით კატეგორიაშიც. გია მაჭავარიანს ბრინჯაომდე სულ ცოტა დააკლდა. 382 (175+207) კილოგრამით მეოთხე შედეგი აჩვენა, ხოლო გიორგი ბეჟიტაშვილი მეთერთმეტეზე დარჩა — 319 კგ (145+174).

**ოთარ მაღლაკელიძე**

რაგბი

# ლოკომოტივმა აიწყვიტა

მაგთიკომის პირველობა

VI ტური. 9 ოქტომბერი

**ყოჩები 0:40 ლოკომოტივი**

ყოჩები: დათო ოდიშარია, კახა ელოშვილი, დავით კაჭარავა, ირაკლი ლობჟანიძე, მიხეილ დადაშიანი; ლადო ავლოხაშვილი, გოგა ხელაძე; პაატა მაისურაძე, მორის ტუჩაშვილი, მამუკა ცხადაძე, ირაკლი კუჭუხიძე, მიხეილ არჩუაშვილი, ირაკლი ჭყონია, ომარ ხუციშვილი, კახა ასეიშვილი

*შეცვლაზე შევიდნენ: გეგენავა, საცერაძე, კანთელიძე, ბრეგვაძე*

*მთ. მწვრთნელი: ი. გიორხელიძე*

ლოკომოტივი: გიორგი ასათიანი, ლექსო გუგავა, რეზო გიგაური, კახა ალანია, ზვიად კობერიძე; ფრიდონ უდესიანი, ბიძინა სამხარაძე; ზვიად მაისურაძე, შალვა სუთიაშვილი, გიორგი ტრაპაიძე, ზურაბ კორკოტაძე, ნიკა მხეიძე, დათო გასვიანი, გიორგი ჯოხია, გიგა ნიშნიანიძე

*შეცვლაზე შევიდნენ: ანდღულაძე, მთიელიშვილი, ყურაშვილი*

*მთ. მწვრთნელი: თ. ბენდიაშვილი*

**გუშინ** ვარკეთილის მეურნეობის სტადიონზე მაგთიკომის პირველობის მეორე წრე დაიწყო, თუმცა ორის ნაცვლად მხოლოდ ერთი თამაში ჩატარდა. „ყოჩები“ „ლოკომოტივს“ ეთამაშებოდნენ და, როგორც მოსალოდნელი იყო, რკინიგზელებმა უპრობლემოდ მოახერხეს მორიგი ქულების აღება.

პირველი ტაიმი მეორესთან შედარებით დაძაბული გამოდგა, რადგანაც „ლოკომოტიველებმა“ რამდენიმე მოქმედება გააფუჭეს და მხოლოდ ერთი ლელოს გატანა მოახერხეს.

მოედნის ცენტრში „ყოჩებმა“ შეცდომა დაუშვეს, „სტუმრები“ ჯაჯგურ-ჯაჯგურით მიიწიენ, შემდეგ კი მარცხენა ფლანგიდან მარცხნივ კარგად ჩათამაშებული ბურთი და კომბინაციის ბოლოს ზვიად კობერიძემ ივარგა. გარდასახვა ლექსო გუგავამ დაარტყა ზუსტად და თავისიანები 7:0 დააწინაურა.

ამის შემდეგ „ყოჩებმა“ თამაშის გამოსწორება შეძლეს, თუმცა ლელოს გატანასთან ისევ „ლოკომოტივი“ იყო ახლოს. ზვიად მაისურაძემ ბურთი შეიტანა კიდევაც მეტოქის ჩათვლის მოედანზე, თუმცა მოულოდნელად ხელიდან გაუვარდა და დამიწება ვეღარ შეძლო.

დარჩენილი ათიოდე წუთში „ყოჩებმა“ კარგი რაგბი ითამაშეს და რამდენჯერმე თითქოს ლელოც უნდა გაეტანათ, თუმცა საბოლოოდ გატანა ვერა და ვერ მოახერხეს და პირველ ტაიმში ანგარიში აღარ შეცვლილა.

მეორე ტაიმი მთლიანად „ლოკომოტივისა“ იყო. „ყოჩები“ მეტოქის ნახევარზე რიგიანად არც კი გადასულან და „ლოკომოტივმაც“ კიდევ ხუთი უპასუხო ლელოს გატანა მოახერხა.

ისიც აღსანიშნავია, რომ ერთი ამდენის დამიწება კიდევ შეეძლო, თუმცა ხან იღბალი არ სწყალობდა, ხანაც დასკვნით მომენტში უშვებდნენ მორაგბენი ელემენტარულ შეცდომებს

მატჩი 0:40 დასრულდა „ლოკომოტივის“ სასარგებლოდ, რომელმაც ზედიზედ მეხუთე გამარჯვება მოითვალა.

**ლადო წულუკიძე**

*ბადრი კეთილაძის ფოტოები*












გურამ წიბახაშვილის ფოტო

# მამაცი დებიუტი

## ჰერბერტი მამაცაშვილის მადლიერია

*შაბათს საფრანგეთის უმაღლესი ლიგა კიდევ ერთმა ქართველმა დააჭაშნიკა. 18 წლის გიორგი მამაცაშვილმა პარიზის „რასინგის" შემადგენლობაში 10 წუთი ითამაშა „ბრესტის" წინააღმდეგ და 5 ქულას მოუყარა თავი.*

*პარიზელთა თავკაცი, მოგეხსენებათ, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი გორდონ ჰერბერტია, რომელიც კმაყოფილი დარჩა ქართველის თამაშით და მისთვის ქებაც არ დაიშურა. მამაცაშვილი წინა სეზონშიც „რასინგში" ირიცხებოდა, მაგრამ საფრანგეთის ეროვნულ ჩემპიონატში ერთხელაც არ უთამაშია — დუბლიორებში გამოდიოდა. გუშინ პარიზში მამაცაშვილს შევეხმიანეთ, რომელიც ჩინებულ ხასიათზე გახლდათ...*

— ძალიან დაძაბული მატჩი იყო. „ბრესტს" მთელი თამაში დამაჯერებლად ვუგებდით, მაგრამ ბოლოს წამოგვეწია და დრამატულ ფინალში ვიმარჯვეთ. ორმაგად მიხარია, რომ ამ გამარჯვებაში ჩემი წილიც არის, „ბრესტს" 5 ქულა ჩავუდგე.

**— გადამწყვეტ წუთებში მოედანზე იყავი?**

— ჰო, ბოლო მეოთხედში ყველაზე მეტი ვითამაშე და ბოლო წუთებზეც მოედანზე ვიყავი. ძალიან მიხარია, რომ მწვრთნელი ასე მენდო და, როგორც ვფიქრობ, იმედი არ გამიცრუებია.

**— მწვრთნელი კმაყოფილი დარჩა შენი თამაშით?**

— გორდონ ჰერბერტმა თამაშის შემდეგ მადლობა გადამიხადა. აშკარად ეტყობოდა, რომ კმაყოფილი იყო ჩემით. 5 ქულა არც ისე ბევრია, მაგრამ მარტო ეს ხომ არაა. თან გამთამაშებლად ვთამაშობდი, რაც ჩემი სიმაღლის კალათბურთელისთვის ცოტა უჩვეულოა. აქამდე მტყორცნელად მამწესებდნენ, გამთამაშებლად იშვიათად ვთამაშობდი.

**— ელოდი, რომ ჰერბერტი გათამაშებდა?**

— კი, რადგან ჩვენი მეორე გამთამაშებელი დაშავებული იყო. თან ჰერბერტმა დუბლიორთა გუნდის მწვრთნელს ჩემზე უთხრა, ბოლო მეოთხედში არ ათამაშოო. დუბლების შეხვედრა ძირითადი გუნდების მატჩამდე იმართება და რადგან ჰერბერტმა ჩემი ზომიერად დატვირთვა მოითხოვა, ესე იგი რაღაც ჩანაფიქრი ჰქონდა...

**— კმაყოფილი ჩანხარ. თუ უკეთეს დებიუტს ელოდი?**

— ჩემი თამაშით კმაყოფილი ვარ, თუმც დებიუტი ეს არ ყოფილა, პირველ ტურში „ვილერბანთან" 20 წამი ვითამაშე. ესე იგი საფრანგეთის უმაღლეს დივიზიონში ჩემი დებიუტი ოფიციალურად მაშინ შედგა, თუმც რეალურად „ბრესტთან" ვითამაშე.

**— 20 წამი რა ბედენაა, რატომ გათამაშეს ასე მცირე ხნით?**

— მწვრთნელმა ერთი შეტევისთვის შემიყვანა მოედანზე, სურდა, ჩვენს გამთამაშებელს პირველ მეოთხედში ჯარიმა არ მიეღო და საამისოდ მე გამომიყვანა.

**— რას ფიქრობ, ამის შემდეგ ჰერბერტი ხშირად გენდობა?**

— არ ვიცი, რაც ჩემზე იყო დამოკიდებული, ყველაფერი გავაკეთე. ჩემი ასაკის და შესაძლებლობების კვალობაზე „ბრესტთან" ურიგოდ არ მითამაშია და იმედი მაქვს, მომავალშიც გამიყვანენ მოედანზე.

**ირაკლი პერტაია**



## მსოფლიოს ჩემპიონატი

27 სექტემბერი — 16 ოქტომბერი, სან-ლუისი, არგენტინა



ვიშვანათან ანანდმა და ვესელინ ტოპალოვმა კვლავ ყაიმი ითამაშეს

# ანანდს ოცი აუწიეს

**ვიშვანათან** ანანდმა ჩემპიონატის ლიდერ ვესელინ ტოპალოვთან ყაიმით დაასრულა შეხვედრა და დაწინაურებულს კვლავ 2,5 ქულით ჩამორჩება.

ბოლო შეხვედრებში ინდუსი თავის თავს აღარ ჰგავს და მთავარ კონკურენტ ტოპალოვსაც თითქმის უბრძოლველად დაუთმო ნახევარი ქულა. ჩემპიონატის ფავორიტებმა ესპანური პარტია გაითამაშეს, მხოლოდ 17 სვლა იბრძოლეს და ხეირიანი არაფერი გაუკეთებიათ.

მეცხრე ტურის შემდეგ ტოტალიზატორებმა ტოპალოვის კურსი 1,1-მდე შეუმცირეს, ანანდს კი ოცამდე აუწიეს.

რუსმა ალექსანდრ მოროზევიჩმა ბოლო სამი შეხვედრა მოიგო და ლიდერებს მიუახლოვდა. მან უნგრელ პეტერ ლეკოს 34-ე სვლაზე სძლია და ახლა ანანდთან ერთად მესამე-მეოთხე ადგილებს იყოფს.

**VIII ტური**

| | | |
|---|---|---|
| იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) | 0,5:0,5 | მაიკლ ადამსი (ინგლისი) |
| ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) | 1:0 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) |
| პეტერ სვიდლერი (რუსეთი) | 0,5:0,5 | რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) |
| ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 0,5:0,5 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) |

| | | |
|---|---|---|
| 1 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 7,5 ქულა |
| 2 | პეტერ სვიდლერი (რუსეთი) | 5,5 |
| 3 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 5 |
| 4 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 4 |
| 5 | ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) | 4 |
| 6 | რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) | 3,5 |
| 7 | მაიკლ ადამსი (ინგლისი | 3 |
| 8 | იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) | 2,5 |



# ხორვატმა. ამაზე უკეთ როგორლა ვითამაშო

**ATP**
**მეცი, საფრანგეთი**
**მაგარსაფარი**
**საპრიზო 323 250 €**

### ნახევარფინალი

**ივან ლუბიჩიჩი** (ხორვატია, 3) — ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი, 1) — 6:1 6:4
**გაელ მონფილზი** (საფრანგეთი) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი, 4) — 7:6, 1:6, 6:2

### ფინალი

**ივან ლიუბიჩიჩი** (ხორვატია, 3) — გაელ მონფილზი (საფრანგეთი) — 7:6 6:0

**საფრანგეთის** ქალაქ მეცში დასრულებული ATP-ს რანგის მორიგი ტურნირი ხორვატი ივან ლიუბიჩიჩის გამარჯვებით დასრულდა. ამ მოგებით ხორვატმა თავისთვის მეტად უსიამოვნო ტრადიცია დაარღვია — წლეულს ის უკვე გავიდა ოთხ ფინალში და ოთხჯერვე დამარცხდა. მხოლოდ მეხუთე ცდა გამოდგა ბედნიერი ლიუბიჩიჩისთვის.

აღსანიშნავია, რომ ივან ლიუბიჩიჩი ახლა მართლაც კარგ ფორმაშია. გემახსოვრებათ, რომ ორიოდე კვირის წინ გამართულ დევისის თასის ნახევარფინალში მან ლომის წილი დაიდო ხორვატიის ნაკრების რუსეთზე გამარჯვებაში.

ფინალში გასვლამდე კი ლიუბიჩიჩმა ტურნირის პირველი ნომერი, რუსი ნიკოლაი დავიდენკო დაამარცხა. ნახევარფინალში ხორვატის წარმატების მთავარ მიზეზად მისი ჩინებული მოწოდება იქცა. მან თამაშში მხოლოდ 10 ეისი გააკეთა, მაგრამ იმდენად სტაბილურად აწოდებდა, რომ დავიდენკოს ერთხელაც არ მისცა ბრეიკის გაკეთების საშუალება.

ფინალში ლიუბიჩიჩის მოწინააღმდეგე ფრანგი თინეიჯერი — გაელ მონფილზი იყო. მან ჯერ მეოთხედფინალში ასპარეზობას გამოთიშა თანატოლი და თანამემამულე რიშარ გასკე, ნახევარფინალში კი, რომელიც 2 საათსა და 9 წუთს გაგრძელდა, სლოვაკი დომინი ჰრბატის დამარცხებაც შეძლო.



ივან ლიუბიჩიჩი

ფინალში ნამდვილი ბრძოლა მხოლოდ პირველ სეტში გაიმართა. ორივე ჩოგბურთელი ინარჩუნებდა თავის მოწოდებას, რასაც თავისთავად ტაი-ბრეიკი მოჰყვა. აქ უფრო იღბლიანი ხორვატი აღმოჩნდა, გადამწყვეტ ვითარებაში იაქტიურა და სეტის მოგებაც შეძლო. როგორც ჩანს, სეტის ტაი-ბრეიკზე წაგება განსაკუთრებით საწყენი გამოდგა გამოუცდელი ფრანგისთვის. მონფილზმა უმატა შეცდომებს, ვეღარც ნერვების მოთოკვა შეძლო და მეორე სეტიც გეიმის მოუგებლად დათმო.

ხორვატი თამაშის შემდეგ მეტად გახარებული იყო. მისთვის ხომ ეს წლეულს მოგებული პირველი ტიტულია. ლიუბიჩიჩმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ეს მის კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი იყო. ხორვატმა ისიც დაუმატა, ვერ წარმომიდგენია, ოდესმე ამაზე უკეთესად თამაშს თუ შევძლებო.

**WTA**
**ფილდერშტადტი. გერმანია**
**მაგარსაფარი**
**საპრიზო 650 000 $**

### ნახევარფინალი

**ლინდსი დევენპორტი** (აშშ, 1) — დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) — 6:4 6:3
**ამელი მორესმო** (საფრანგეთი, 3) — ელენა დემენტიევა (რუსეთი, 5) — 6:3 6:4

### ფინალი

**ლინდსი დევენპორტი** (აშშ, 1) — ამელი მორესმო (საფრანგეთი, 3) — 6:2 6:4

**ამერიკელი** ლინდსი დევენპორტი ზედიზედ ორი წლის განმავლობაში იგებს გერმანულ ფილდერშტადტის WTA-ს რანგის საკმაოდ სოლიდურ ტურნირს. წლეულს აქ განსაკუთრებით ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბა, რამაც გვაფიქრებინა, რომ ამერიკელს ტიტულის დაცვა გაუჭირდებოდა, თუმც ამაოდ. დევენპორტმა იოლად შეინარჩუნა ტიტული — ტურნირი ისე ჩაამთავრა, სეტიც არ წაუგია.

დევენპორტს ნახევარფინალში მეტოქედ სლოვაკი დანიელა ჰანტუხოვა ჰყავდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ამერიკელს სლოვაკმა ვერაფერი დაუპირისპირა და დევენპორტმაც საკმაოდ იოლად შეძლო ფინალში გასვლა. თამაშის შემდეგ დევენპორტმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი თავისი მოწოდების სიძლიერეს ჰანტუხოვასთან მატჩში. ამერიკელის მოწინააღმდეგე ფინალში ტურნირზე მესამე და მეხუთე ნომრად განთესილი ჩოგბურთელების, ფრანგი ამელი მორესმოსა და რუს ელენა დემენტიევას მატჩში უნდა გარკვეულიყო.

სპეციალისტები ამ მატჩის ფავორიტად რუსს ასახელებდნენ, რადგანაც მან მეოთხედფინალში კიმ კლაისტერსთან შეხვედრაში მართლაც დიდებული თამაში აჩვენა და ნახევარფინალშიც დამსახურებულად მოხვდა. თუმც, სამწუხაროდ, მორესმოსთან მატჩში აბსოლუტურად განსხვავებული დემენტიევა ვიხილეთ. ელენამ ფრანგთან თავისი თამაშის ყველა სუსტი მხარე გამოაჩინა — ცუდი მოწოდება, უამრავი ორმაგი შეცდომა, საკუთარი მოწოდების მუდმივად წაგება... ბოლო 4 ურთიერთშეხვედრაში ფრანგისთვის ეს პირველი გამარჯვება იყო.

ფინალი კი მთლიანად დევენპორტის კარნახით წარიმართა. ფრანგმა ვერაფერი დაუპირისპირა ამერიკელის შემტევ ჩოგბურთს. ისე, მორესმოს დევენპორტთან ყოველთვის უჭირდა თამაში — თოთხმეტი დაპირისპირებიდან თერთმეტი ამერიკელის სასარგებლოდ დასრულდა. ხოლო ამჯერად დევენპორტმა მხოლოდ ექვსი გეიმი აღებინა თავის მოწინააღმდეგეს და მატჩი იოლად, 6:2 6:4 მოიგო.

დევენპორტისთვის ეს WTA-ს რანგის 50-ე მოგებული ტურნირია. ფილდერშტადტში გამარჯვებით კი ამერიკელმა მნიშვნელოვანი განაცხადი გააკეთა საიმისოდ, რომ წელიწადი კვლავ პირველი ჩოგნის სტატუსით დაამთავროს.

**ჰაკა ლომაყვილი**

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

**ფორმულა 1. 56-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მეთვრამეტე ეტაპი**

# ფინელის ფანტასტიკური



AFP

კიმი რაიკონენი: ჩემს კარიერაში ეს ყველაზე ძნელი გამარჯვებაა

**ტყუილად** არ წაუტრაბახია „მაკლარენ-მერსედესის" ბოს რონ დენისს, წლეულს რენოელ ფერნანდო ალონსოს გაჩემპიონების მიუხედავად, ჩემი ბიჭები მასზე მაგრები არიან და მანქანაც უფრო სწრაფი გვაქვსო.

მართალია, საკმაოდ უტაქტო განცხადებაა, მაგრამ სიმართლესთან ძალიან ახლოსაა, იქნებ ასი პროცენტითაც. ყოველ შემთხვევაში, „სამეფო რბოლებში" ყველაფრის მომსწრე 58 წლის დენისს ეს მკვახე ნათქვამი დაეჯერება, მით უმეტეს, მიმდინარე სტატისტიკიდან გამომდინარე.

კარგად მოგეხსენებათ, რონის ბიჭები ვინც არიან — ცხელსისხლიანი კოლუმბიელი ხუან-პაბლო მონტოია და ყინულის კაცი ფინელი კიმი რაიკონენი.

რაც შეეხება სადღეისო რეალობას, მაკლელებმა ბოლო 14 ეტაპიდან ათი მოიგეს, რენოელებმა კი, უფრო ზუსტად ალონსომ, რადგან ჯანკარლო ფიზიკელა ვერაფრით შეეშველა — მხოლოდ სამი.

25 წლის რაიკონენის გუშინდელმა ფანტასტიკურმა სპექტაკლმა იაპონურ სცენაზე ყველა და ყველაფერი დაჩრდილა, რის მნახველ „სუძუკას" ტრიბუნებზე შეფენილ თითქმის 150 ათას მაყურებელსაც და უამრავმილიონიან ტელეაუდიტორიასაც ალბათ ერთხმად ათქმევინა, ჩემპიონატის ფინიშამდე კიდევ სამი-ოთხი რბოლა რომ რჩებოდეს, ალონსო ტიტულს ვერ ეღირსებოდაო. თქმის საბაბი კი შაბათის საკვალიფიკაციო კოშმარმა წარმოშვა...

მერამდენედ გვიწევს აღნიშვნა, რომ საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის უტვინო რეფორმების გადამკიდე, მძღოლები უილაჯო ვითარებაში ვარდებიან. ისევ ერთწლიან საპოულო ფორმატზე ვჩივით, რის სამარცხვინო უხეირობაც გუშინწინ კიდევ ერთხელ ვიხილეთ, კერძოდ, კოკისპირულმა წვიმამ და ფედერაციის „სიმტკიცემ" პილოტები გამოუვალ ვითარებაში ჩააგდო.



პარადოქსულია, მაგრამ დაზარალდნენ სწორედ ისინი, ვინც წინა, ბრაზილიურ ეტაპზე წარმატებით იჯირითეს და სანპაულურ პოდიუმზე შედგნენ, თითქოს ეს მათი დანაშაული ყოფილიყოს.

„სუძუკაზე" საპოულე საათი ნაწვიმარ, თუმც მაინც ნორმალურ ასფალტზე კი დაიწყო, მაგრამ სესიის მიწურულს ისე გაავდრდა, რომ ბოლო ხუთეულის მანქანები ძლივსღა დაბობღავდნენ, ოღონდ როგორმე უფათერაკოდ გაევლოთ თითქმის ექვსკილომეტრიანი წრე.

კვალიფიკაცია „რედ ბულის" შოტლანდიელმა მრბოლმა დევიდ კულჰარდმა გახსნა და ტრასა ისე ფიცხლად გაიქროლა, რომ მერე ნახევარმა ქარავანმა ვერ შეძლო მისი შედეგის გაუმჯობესება.

მერე, „დი-სის" დროს ტაკუმა სატომ აჯობა, შემდეგ კი ტოიოტელმა რალფ შუმახერმა, რომლის წრეც საბოლოოდ მიუწვდომელი აღმოჩნდა დანარჩენი მძღოლებისთვის, რადგან კოკისპირულად დასცხო და მონასტერი ისე აირია, რომ მრბოლები გზას ვეღარ ხედავდნენ და იმასღა ცდილობდნენ, როგორმე უფათერაკოდ შემოევლოთ მოჯადოებული წრისთვის.

საბოლოოდ სესიის მიწურულს გასულმა ხუთეულმა ლიდერთან ლამის 15 წამით უარესი „შედეგი" აჩვენა და ფედერაციის უნიათობა-უსისტემობამ კვლავ არ მისცა მათ ერთხელ ჩაფლავების გამოსწორების შანსი.

ერთი სიტყვით, როგორი სასტარტო ვითარებაა, როცა მსოფლიოს ჩემპიონი ალონსო, ვიცე-ჩემპიონი რაიკონენი და მესამე პრიზიორი მონტოია ქარავანის ბოლოში დგანან წყალწაღებულ მინარდი-ჯორდანელების უკან.

რბოლასაც მივადექით. გუშინ „სუძუკაზე" მზიანი დარი იდგა და უზარმაზარი ტრიბუნებიც გადაიჭედა. სასტარტო ნიშნისთანავე ყველაზე ფიცხლად რედბულელი კულჰარდი მოსწყდა ადგილს და ორ წინ მდგომს შორის [illegible] გაძვრა. უსწრაფესად დაიძრნენ აგრეთვე პელოტონის ძირში მყოფი ფავორიტები — მიხაელი, ფერნანდო და ხუანი — ტყვიასავით გავარდნენ და დასაწყისშივე ოთხი-ხუთი პოზიციით გაიუმჯობესეს ვითარება. სასტარტო დაფეთება საკმაოდ ძვირად დაუჯდათ რუბენს ბარიკელოს და ტაკუმა სატოს — ორივენი პირველივე მოსახვევში გზას გადასცდნენ, ამასთან რუბინიოს „ფერარი" ტაკუს „ბარის" ცხვირს წამოედო და ორივე საბოქსე-სარემონტო შეიქნა. ბარიკელოს უკანა მარცხენა საბურავი გაუსკდა, სატოს მანქანას კი წინა ფრთის შეცვლა დასჭირდა.

აღსანიშნავია, რომ უკვე პირველი წრის შემდეგ ლიდერობაშენარჩუნებულ რალფ შუმახერის გარდა ყველამ მეტ-ნაკლებად აიწჩაიწია. პატარა შუმის უკან მიჰყვებოდნენ ფიზიკელა, ბატონი, კულჰარდი, ვებერი, კლიენი, მიხაელ შუმახერი, ალონსო... რაიკონენმა ხუთი პოზიცია მოიგო და მე-12 იყო.

მშვენივრად დაიწყო მონტოიამაც, მაგრამ პირველი წრის ბოლოს მოსახვევის წინ ვილნევის გასწრებისას ვერ მოზომა და საშინელი ძალით მიახეთქა „მაკლარენი" დამცავი საბურავების ბარიერს.

ექვსი წრე პელოტონი უსაფრთხოების „მერსედესმა" ატარა, მერე კი მიუშვა და კიმის „სოლოც" დაიწყო. თუმც სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ რაიკონენის გარდა ალონსომაც იაქტიურა და ორივემ ვიწრო „სუძუკაზე" რამდენიმე მეტოქეს აუარა გვერდი.

და რა თქმა უნდა, გუშინდელი ბრძოლის გმირი მაინც რაიკონენია — შუა რბოლისას შვიდგზის ჩემპიონ მიხაელ შუმახერის იოლად გასწრების შემდეგ მან უფრო უმატა ტემპს და ტაქტიკურ-ტექნიკურად სანიმუშო ბრძოლის ბოლო წრეზე მანამდე სოლიდური უპირატესობით მეწინავე ფიზიკელას „ჩაყლაპვით" ისეთი ზეისტორიული გამარჯვება მოიპოვა, რამაც თავადვე თამამად ათქმევინა — წარმოუდგენლად სასიხარულოა ეს მოგება, მითუმეტეს მანქანაში გარკვეული პრობლემების შემდეგ ეს ჩემს კარიერაში ყველაზე ძნელი გამარჯვება იყო.

**გია ახალაძე**

## რბოლის შედეგები

### იაპონიის დიდი პრიზი
### 9 ოქტომბერი. სუძუკა

დისტანცია 53 წრე — 307,573 კმ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | (17) | რაიკონენი (მაკლარენი) | 1:29.02,2 (207,0 კმ/სთ) |
| 2. | (3) | ფიზიკელა (რენო) | ჩამორჩა 1,6 |
| 3. | (16) | ალონსო (რენო) | 17,5 |
| 4. | (7) | ვებერი (უილიამსი) | 22,3 |
| 5. | (2) | ბატონი (B.A.R) | 29,5 |
| 6. | (6) | კულჰარდი (რედ ბული) | 31,6 |
| 7. | (14) | მ.შუმახერი (ფერარი) | 33,9 |
| 8. | (1) | რ.შუმახერი (ტოიოტა) | 49,6 |
| 9. | (4) | კლიენი (რედ ბული) | 51,9 |
| 10. | (10) | მასა (ზაუბერი) | 57,5 |
| 11. | (8) | ვილნევი (ზაუბერი) | 58,2 |
| 12. | (9) | ბარიკელო (ფერარი) | 100,6 |
| 13. | (5) | სატო (B.A.R) | 1 წრით |
| 14. | (19) | მონტეირო (ჯორდანი) | 1 წრით |
| 15. | (15) | დორნბოსი (მინარდი) | 2 წრით |
| 16. | (11) | კარტიკეიანი (ჯორდანი) | 2 წრით |
| 17. | (13) | ალბერსი (მინარდი) | 4 წრით |

რბოლას გამოეთიშნენ

| | | | |
|---|---|---|---|
| (20) | ტრული (ტოიოტა) | გაიარა | 10 წრე |
| (12) | პიცონია (უილიამსი) | | 9 |
| (18) | მონტოია (მაკლარენი) | | 0 |

ფრჩხილებში საკვალიფიკაციო ადგილი

**პოული**

რ.შუმახერი — 1.46,106 (197,0 კმ/სთ)

**საუკეთესო წრე**

რაიკონენი — 1.31,540 (228,4 კმ/სთ)

| F1 | ავსტრალია 6 მარტი | მალაიზია 20 მარტი | ბაჰრეინი 3 აპრილი | სან მარინო 24 აპრილი | ესპანეთი 8 მაისი | მონაკო 22 მაისი | ევროპა 29 მაისი | კანადა 12 ივნისი | აშშ 19 ივნისი | საფრანგეთი 3 ივლისი | დ. ბრიტანეთი 10 ივლისი | გერმანია 24 ივლისი | უნგრეთი 31 ივლისი | თურქეთი 21 აგვისტო | იტალია 4 სექტემბერი | ბელგია 11 სექტემბერი | ბრაზილია 25 სექტემბერი | იაპონია 9 ოქტომბერი | ჩინეთი 16 ოქტომბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ალონსო რენო, ესპანეთი | 6 | 10 | 10 | 10 | 8 | 5 | 10 | – | – | 10 | 8 | 10 | – | 8 | 8 | 8 | 6 | 6 | | 123 |
| 2 რაიკონენი მაკლარენი, ფინეთი | 1 | – | 6 | – | 10 | 10 | – | 10 | – | 8 | 6 | – | 10 | 10 | 5 | 10 | 8 | 10 | | 104 |
| 3 მ. შუმახერი ფერარი, გერმანია | – | 2 | – | 8 | – | 2 | 4 | 8 | 10 | 6 | 3 | 4 | 8 | – | – | – | 5 | 2 | | 62 |
| 4 მონტოია მაკლარენი, კოლუმბია | 3 | 5 | – | – | 2 | 4 | 2 | – | – | – | 10 | 8 | – | 6 | 10 | – | 10 | – | | 60 |
| 5 ფიზიკელა რენო, იტალია | 10 | – | – | – | 4 | – | 3 | – | – | 3 | 5 | 5 | – | 5 | 6 | – | 4 | 8 | | 53 |
| 6 ტრული ტოიოტა, იტალია | – | 8 | 8 | 4 | 6 | – | 1 | – | – | 4 | – | – | 5 | 3 | 4 | – | – | – | | 43 |
| 7 რ. შუმახერი ტოიოტა, გერმანია | – | 4 | 5 | – | 5 | 3 | – | 3 | – | 2 | 1 | 3 | 6 | – | 3 | 2 | 1 | 1 | | 39 |
| 8 ბარიკელო ფერარი, ბრაზილია | 8 | – | – | – | – | 1 | 6 | 6 | 8 | – | 2 | – | – | – | – | 4 | 3 | – | | 38 |
| 9 ბატონი BAR, დ.ბრიტანეთი | – | – | – | – | – | – | – | – | – | 5 | 4 | 6 | 4 | 4 | 1 | 6 | 2 | 4 | | 36 |
| 10 ვებერი უილიამსი, ავსტრალია | 4 | – | 3 | 2 | 3 | 6 | – | 4 | – | – | – | – | 2 | – | – | 5 | – | 5 | | 34 |
| ჰაიდფელდი — 28, კულჰარდი — 24, ვილნევი — 9, მასა — 8, მონტეირო — 7, ვურცი — 6, კარტიკეიანი, კლიენი — 5, დე ლა როსა, ალბერსი — 4, ფრიზახერი — 3, პიცონია — 2, ლიუცი, სატო — 1 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 რენო | 16 | 10 | 10 | 10 | 12 | 5 | 13 | – | – | 13 | 13 | 15 | – | 13 | 14 | 8 | 10 | 14 | | 176 |
| 2 მაკლარენი | 4 | 5 | 10 | 6 | 12 | 14 | 2 | 10 | – | 8 | 16 | 8 | 10 | 16 | 15 | 10 | 18 | 10 | | 174 |
| 3 ფერარი | 8 | 2 | – | 8 | – | 3 | 10 | 14 | 18 | 6 | 5 | 4 | 8 | – | – | 4 | 8 | 2 | | 100 |
| 4 ტოიოტა | – | 12 | 13 | 4 | 11 | 3 | 1 | 3 | – | 6 | 1 | 3 | 11 | 3 | 7 | 2 | 1 | 1 | | 82 |
| 5 უილიამსი | 4 | 6 | 3 | 5 | 3 | 14 | 8 | 4 | – | – | – | – | 5 | – | 2 | 5 | – | 5 | | 64 |

BAR — 37, რედ ბული — 30, ზაუბერი — 17, ჯორდანი — 12, მინარდი — 7 ქულა

რეგულარული ჩემპიონატი

# ნჰლ-ს სტარტს უქებენ

7:6, 7:3, 8:1, 5:4, 6:3 — ხომ არ დაგავიწყდათ, რომ ჰოკეიში ასეთი შედეგებიც ფიქსირდება? სტაჟიან ქომაგებს, ცხადია, ეხსომებათ, რომ ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისში ლიგა სწორედ უხვგოლიანობით გამოირჩეოდა, მაგრამ ამას ვაი-მწვრთნელების მიერ მოგონებული დაცვითი ტაქტიკური სქემები და ხაფანგები მოჰყვა, რის გამოც ჰოკეის მატჩების შედეგბი უფრო ფეხბურთისას დაემსგავსა, ხოლო ლიგა ნაკლებად მიმზიდველი გახდა. ძირითადად ლოკაუტის მიზეზიც ეს იყო, მაგრამ, როგორც ახლახან დაწყებული ჩემპიონატი ცხადყოფს, ლიგამ შექმნილი ვითარებიდან სწორი დასკვნები გამოიტანა. გადახალისებული და გონივრულად აწყობილი ეკონომიური სისტემა, წესების რადიკალური ცვლილება, უხეშობასთან მკაცრი ბრძოლა — ყველაფერი ეს გახდა იმის საბაბი, რასაც დღესდღეობით ლიგის სტადიონებზე ვხედავთ. იმედია, ხეირიანი და შინაარსიანი სტარტი ახალი ნჰლ-სთვის კარგ ტრამპლინად იქცევა.




ერთ-ერთი უხვგოლიანი მატჩი სენტ ლუისი — სან ხოსე და მათი მაყურებლები

**7 ოქტომბერი**

**ჩიკაგო 6:3 სან ხოსე**
3:0 2:1 1:2
1:0 ვანდეერმერი (1), 2:0 რუუტუ (6), 3:0 არნასონი (8), 4:0 კალიმორი (22), 4:1 შტურმი (26), 5:1 ვორობიევი (29), 6:1 ვორობიევი (42), 6:2 მაკლარენი (43), 6:3 მიხალეკი (58)

**ბუფალო 4:1 ბოსტონი**
0:0 2:0 2:1
1:0 დიუმონი (28), 2:0 გრირი (34), 2:1 მიურეი (47), 3:1 კოტალიკი (56), 4:1 აფინოგენოვი (59)

**ფლორიდა 2:0 ტამპა**
0:0 0:0 2:0
1:0 კოლნიკი (58), 2:0 იოკინენი (59)

**ვაშინგტონი 3:7 ატლანტა**
1:2 1:2 1:3
0:1 ბონდრა (7), 1:1 ბირონი (8), 1:2 მოდრი (18), 1:3 ჰოლიკი (26), 1:4 სავარი (31), 2:4 უილსი (34), 2:5 ბულტონი (49), 3:5 კესელსი (53), 3:6 კოზლოვი (59), 3:7 ჰოსა (60)

**ფილადელფია 5:2 ნიუ ჯერსი**
0:1 2:1 3:0
0:1 ლანგებრუნერი (4), 0:2 მოგილნი (25), 1:2 განიე (31), 2:2 განიე (39), 3:2 სიმი (41), 4:2 ჰანდზუში (47), 5:2 სტივენსონი (50)

**კოლუმბუსი 1:3 კალგარი**
0:0 0:1 1:2
0:1 დონოვანი (22), 1:1 ლეტოვსკი (41), 1:2 ლენგკოუ (45), 1:3 მაკარტი (60)

**კაროლინა 3:2 პიტსბურგი 2:0**
0:0 0:2 0:0 1:0
ბულიტების სერიაში
1:0 სტაალი (12), 2:0 სტილმანი (18), 2:1 მელოუნი (44), 2:2 პალფი (59), 3:2 ბულიტი: სტილმანი

**მატჩის** გმირი ახალბედა მეკარე კემ უორდი შეიქნა, რომელმაც ბულიტების სერიაში მარიო ლემიეს, ზიგმუნდ პალფისა და ფენომენი სიდნი კროსბის დარტყმები მოიგერია.

**8 ოქტომბერი**

**ფინიქსი 2:1 მინესოტა**
1:1 0:0 1:0
0:1 რობიტაილი (14), 1:1 ნადი (19), 2:1 დოუნი (56)

**ესეც** უეინ გრეცკის პირველი წარმატება მწვრთნელის პოსტზე

**ოტავა 5:0 ბუფალო**
1:0 1:0 3:0
1:0 სპეცა (15), 2:0 ნილი (29), 3:0 ჰავლატი (45), 4:0 რედენი (48), 5:0 ჰიტლი (58)

**ატლანტა 8:1 ვაშინგტონი**
2:1 1:0 5:0
1:0 ბონდრა (7), 2:0 დევრიზი (19), 2:1 ჰიუარდი (20), 3:1 ბონდრა (35), 4:1 ობენი (42), 5:1 მელანბი (44), 6:1 სავარი (53), 7:1 ჰოსა (56), 8:1 შტეფანი (58)

**ილია** კოვალჩუკის არყოფნამაც არ შეუშალა „ატლანტას“ ხელი „ვაშინგტონის“ შერცხვენაში. 15 გაშვებული გოლი ორ მატჩში — ასეთი შოკისგან დიდხანს გამოდიან ხოლმე. ყველაზე საწყენი ისაა, რომ დედაქალაქის გუნდი სწორედ ყოფილმა თანაკლუბელმა პეტერ ბონდრამ დააბეჩავა (3 გლი და 3 პასი 2 თამაშში). ისე, კოვალჩუკიც უკვე „ატლანტას“ რიგებშია. შაბათს მეგოლემ 5-წლიანი და 32-მილიონიანი კონტრაქტი გააფორმა თავის კლუბთან.

**ტორონტო 4:5 მონრეალი**
0:0 2:3 2:2
0:1 პერეჟოგინი (29), 1:1 სტინი (32), 2:1 დომი (33), 2:2 სუნდსტრიომი (34), 2:3 სურეი (35), 3:3 სტეიჯენი (43), 4:3 ანტროპოვი (51), 4:4 ბეგინი (54), 4:5 რიბეირო (56)

**აილენდერსი 3:2 კაროლინა**
0:1 1:0 2:1
0:1 სტაალი (8), 1:1 ბლეიკი (34), 2:1 შატანი (46), 3:1 ბეიტსი (48), ??? სტაალი (59)

**ტამპა 2:1 ფლორიდა**
0:0 1:0 1:1
1:0 მოდინი (21), 2:0 სან ლუი (52), 2:1 ნუინდაიკი (60)

**თასის** მფლობელმა მხოლოდ განმეორებით თამაშში მოახერხა რობერტო ლუონგოს ჯადოს მოხსნა. პარასკევს „ფლორიდას“ მეკარემ ზედიზედ მეორე შათაუტი მიითვალა, მაგრამ შაბათს ჩემპიონის ზეწოლას ველარ გაუძლო.

**პიტსბურგი 6:7 ბოსტონი**
3:2 3:2 0:2 0:1
1:0 პალფი (4), 1:1 [illegible], 2:1 ლემიე (13), 2:2 [illegible] (15), 3:2 [illegible]მენი (17), 4:2 [illegible] (21), 4:3 [illegible] (29), 4:4 გრინი (31), 5:4 ლემიე (32), 6:4 კროსბი (39), 6:5 მიურეი (48), 6:6 [illegible]ისი (50), 6:7 მიურეი (62)

**სიდნი** კროსბის [illegible] ჰოკეისტის დარად თამაშმა და მარიო ლემიეს [illegible] ვერ უშველა „პიტსბურგს“ [illegible]ნში პირველი მოგების [illegible]ში. მასპინძლები 4-ჯერ [illegible]რდნენ, მაგრამ [illegible] ლიგის მთავარი წესი [illegible], რომლის მიხედვითაც [illegible] უპირატესობა არ არის [illegible] მოგების მოსაპოვებლად [illegible] სბის პირველი ნჰლ-ური [illegible] სიხარული გააუფერულა.

**ნიუ ჯერსი 3:2 რეინჯერსი**
1:1 0:1 1:0 1:0
0:1 უორდი (5), 1:1 კოზლოვი (16), 1:2 რუჩინსკი (29), 2:2 მოგილნი (43), 3:2 რაფალსკი (64)

**ნეშვილი 3:2 ანაჰაიმი**
0:1 1:0 1:1 0:0 1:0
ბულიტების სერიაში
0:1 პოლსონი (8), 1:1 პერო (28), 2:1 პერო (41), 2:2 სიკორა (54), 3:2 გადამწყვეტი ბულიტი: კარია

**სენტ ლუისი 6:7 სან ხოსე**
3:2 2:1 1:4
0:1 ეკმანი (5), 0:2 მარლო (8), 1:2 ბეკმანი (11), 2:2 მაიერსი (16), 3:2 იანგი (19), 4:2 ჩაიანეკი (23), 4:3 დიმიტრაკოსი (33), 5:3 ჰოგანი (35), 5:4 პრაისინგი (46), 5:5 დიმიტრაკოსი (46), 6:5 მაიერსი (48), 6:6 სტიუარტი (53), 6:7 ჩიჩუ (59)

**კიდევ** ერთ უხვგოლიან [illegible] შში გამარჯვება [illegible] ლად, რომლებიც [illegible] მატჩის განმავლობაში [illegible] ლში იყვნენ.

**დალასი 2:3 კოლორადო**
0:0 1:2 1:1
1:0 ლეჰტინენი (21), 1:1 ტარჯონი (33), 1:2 საკიკი (40), 2:2 მოროუ (52), 2:3 სვატოში (59)

**ედმონტონი 4:3 ვანკუვერი**
1:1 1:0 2:2 0:0 1:0
ბულიტების სერიაში
1:0 ჰორკოფი (2), 1:1 ნესლუნდი (18), 2:1 ტორესი (23), 2:2 ნესლუნდი (46), 2:3 სალო (53), 3:3 ტორესი (60), 4:3 გადამწყვეტი ბულიტი: ტორესი

**რაფი** ტორესმა 24-ე [illegible] ბის დღე გემრიელად აღნიშნა [illegible] რითად დროში ლუონგოს მან [illegible] ტების ბრწყინვალე შესრულება დაამატა.

## ჩოგბურთი

**კოკა-კოლა-ს თასი**
**Coca-Cola Cup**

კოკა-კოლას თასი.
5-9 ოქტომბერი

კაცები

**მეოთხედფინალი**

გიორგი ნავროზაშვილი — ნიკა ქურდაძე (5) 7:5 6:0; სოზარ გოძაძე (8) — დავით კვერნაძე (2) 7:6 7:6

**ნახევარფინალი**

გიორგი ჭანტურია (6) — ირაკლი უშანგიშვილი (1) 6:4 6:3; ნავროზაშვილი — გოძაძე (8) 6:3 7:6

**ფინალი**

ჭანტურია (6) — ნავროზაშვილი 6:2 6:2

ქალები

**ნახევარფინალი**

სოფიკო ძვაცაბაია (3) — მანანა შაფაქიძე (1) 6:7 6:3 6:3; სოფიკო შაფათავა (4) — თეონა ცერცვაძე 6:2 6:3

**ფინალი**

ძვაცაბაია — შაფათავა 3:6 7:5 6:3



გიორგი ჭანტურია

## ფეხბურთი

### ინგლისი

1 ლიგა. XIV ტური
ოლდემი 0:1 ბრენტფორდი
ბლეკპული 1:2 კოლჩესტერი
საუთენდი 1:0 ნოტსი

კონფერენსლიგა. XIV ტური
დაგენემი 2:0 ალდერშოტი

### დანია

1 დივიზიონი. XII ტური
იოლსტიკე 1:2 ბრაბრანდი
ლიუნგბიუ 1:0 ბრონსხოი
ფრემადი 0:7 ფრედერისია
რანდერსი 3:0 ჰიკი
აკადემისკი 0:3 ნიკიობინგი
კიოგე 0:0 კოლდინგი

### ნორვეგია

1 დივიზიონი. XXVII ტური
კონგსვინგერი 2:1 ალკა
მანდალი 1:3 მოსი
ჰიოდი 4:4 სტრომგოდსეტი
ფოლო 1:1 ჰორს გრენლანდი
ლოვ ჰამი 2:0 ბრინი
სანდეფიორდი 3:0 ჰიონეფოსი

### საბერძნეთი

ნაციონალლიგა გად. მატჩი
ეგალეო 0:0 ოფი

### იტალია

სერია B. IX ტური
მოდენა 1:0 კატანძარო
კატანია 2:2 ვიჩენცა
კროტონე 1:1 მანტოვა
ბრეშა 1:0 ტრიესტინა
აველინო 2:1 კრემონეზე
ატალანტა 2:0 ალბინოლეფე
არეცო 2:2 პესკარა
ტორინო 0:0 ბოლონია
ვერონა 1:0 ტერნანა

სერია C1/A. VII ტური
სალერნიტანა 0:0 ჯენოა
პიციგეტონე 2:1 რავენა
ტერამო 1:1 მონცა
პრო პატრია 2:2 პადოვა
ნოვარა 1:1 ლუმეცანე
სპეცია 4:0 ავია
სამბენედეტეზე 3:2 ფერმანა
ჩიტადელა 1:0 ჯულიანოვა

სერია C1/B. VII ტური
ჯელა 0:0 ნაპოლი
მარტინა 3:1 პროსინონე
მანფრედონია 1:0 კიეტი
ფოჯა 1:1 გროსეტო
იუვე სტაბია 1:1 სანჯოვანეზე
ლანჩანო 1:1 სეზარი ტორესი
ლუკეზე 1:2 პიზა
მასეზე 1:2 პერუჯა

### ესპანეთი

სეგუნდადივიზიონი
VIII ტური
ლევანტე 1:3 უელვა
ვალიადოლიდი 1:0 ალმერია
ლორკა 1:0 მალაგა B
სპორტინგი 2:0 კასტელონი
ელჩე 1:1 მურსია
ეიბარი 1:3 რეალი B
სიუდადი 2:6 ხერესი

### შვეიცარია

ჩელენჯლიგა
XII ტური
შო დე ფონი 2:0 მეირინი

### შვედეთი

სუპერეტა
XXIX ტური
ისტერსი 3:1 ფრიოლუნდა
ტრელებორგი 1:2 ვესტერასი
ლიუნგსკილე 1:3 მიალბი
ბრომაპოიკარნა 4:0 ბოდენი

### ირლანდია

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი
ლონგფორდი 1:1 ბრეი

# ტატიანა მიდის

ეს ფრანგი ტატიანა გოლოვინი მიაბიჯებს კორტის შუაგულისკენ. მოქმედების ადგილი ტოკიოა, სადაც იაპონიის ღია პირველობა მიმდინარეობს. გოლოვინმა ეს წუთია დაამარცხა ინდოელი სანია მირზა. დანარჩენი თავად იფიქრეთ.



AFP ტოკიოდან



# ისევ ბაქოდან

კვლავ მხატვრული ტანვარჯიშის ჩემპიონატი ბაქოში და კვლავ კვიმატი ფოტო. ეს სლოვენიელი მიცა როდა გახლავთ. ძნელი საცნობია, არა?

# გოგონებს უხარიათ

აი, ორი გოგო ზეიმობს: ერთი (სათვალიანი) ეკვადორელია და მისი ქვეყნის საფეხბურთო ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავიდა ურუგვაისთან მატჩის შემდეგ. მეორე კი ანგოლელია: ანგოლამ რუანდას მოუგო და ისტორიაში პირველად ითამაშებს მსოფლიო ჩემპიონატზე.







ჟიზელა პულიდო ესპანელია და ჯერ მხოლოდ თერთმეტი წლისაა, მაგრამ უკვე მსოფლიო ტურის ჩემპიონია წყლის დაფაზე (სკეიტბორდის სველი სახეობაა) სრიალში. ტური კი ავსტრალიაში მიმდინარეობს და კაიტბორდთან ერთად, სკეიტბორდობასაც მოიცავს.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ვირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, თიარ ძაღლიკვლიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კვიილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუხიშვილი, ელენე გულუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ეკატო ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფილფანი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 79
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge